



სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

თემატური ანალიზი
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და
ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი
საქართველოს უმაღლესი განათლების
სისტემაში მიკროკრედიტების
დანერგვისთვის

2023

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ავტორები:

- ქეთევან ფანჩულიძე
- ნინო გოგლიჩიძე
- ლიკა ქუთელია
- თორნიკე ბაქაძური
- ქეთევან კობახიძე
- თამარ შუდრა



დოკუმენტის განხილვის პროცესში წარმოდგენილი წინადადებებისა და რეკომენდაციებისთვის მადლობას ვუხდით სამუშაო ჯგუფის წევრებს:

ხატია ცირამუას, ნიკოლოზ ფარჯანაძეს, ქეთევან ინანაშვილს, ნათია ვაჭარაძესა და ხატია ბერიძეს.

სარჩევი

შესავალი.....	1
1. თემატური ანალიზის მიზანი და ამოცანები	5
2. მეთოდოლოგია.....	6
3. მიკროკრედიტები - დეფინიცია.....	7
4. უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების მიმართულებით არსებული ჩარჩო დოკუმენტების მიმოხილვა.....	10
4.1 ევროსაბჭოს რეკომენდაციები.....	10
4.2 მიკროკრედიტების აღწერის ევროპული სტანდარტული ელემენტები	12
5. მიკროკრედიტების შესაძლებლობების რეალიზება	20
6. მიკროკრედიტების კომბინირებადობა (Stackability)	21
6.1 როგორ ხდება მოდულების „კომბინირება“.....	22
7. მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა	23
8. მიკროკრედიტების დანერგვა უმაღლეს განათლებაში საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა	27
8.1 ახალი ზელანდია	27
8.2 გაერთიანებული სამეფო.....	28
8.3 ირლანდია.....	32
8.4 ესტონეთი	33
9. ეროვნულ დონეზე არსებული გამოცდილება უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით.....	35
9.1. ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები.....	37
10. რეკომენდაციები საქართველოს უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების ოპტიმალური სისტემის დანერგვისთვის.....	38
11. რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისა და განხორციელების სამართლებრივი მოწესრიგებისთვის.....	40
11.1 მიკროკრედიტის ცნებისა და განამახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრა.....	41
11.2 ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი	42
11.3 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი	45
11.4 მიკროკრედიტის აღიარება	45
გამოყენებული წყაროები.....	47





შესავალი

მსოფლიოს მასშტაბით, მიკროკრედიტების დანერგვა უმაღლესი განთლების სისტემაში ჯერ კიდევ საწყის ფაზაშია, მაგრამ მზარდია ინტერესი მიკროკრედიტების მიდგომების განვითარების მიმართ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მხარდაჭერისთვის.

ევროპაში სულ უფრო იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც საჭიროებენ თავიანთი ცოდნისა და უნარების განახლებასა და გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყონ ფორმალური განათლების ფარგლებში გამომუშავებული კომპეტენციების შესაბამისობა სწრაფად ცვლებად დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. ამასთანავე, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლამ, COVID-19-ის პანდემიის გამო, სამუშაო პროცესის ციფრულ ფორმატში გადანაცვლებამ და მიდგომების ადაპტირებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ცვლილებებს ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის ყველა სფეროში. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა ადამიანების მიმდინარე და სამომავლო ცვლილებებთან გამკლავების საჭირო უნარებით აღჭურვის აუცილებლობა. .

დღეისათვის, ევროპის დასაქმების ბაზრის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დასაქმებულთა კომპეტენციების შეუსაბამობაა ევროკავშირის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. სულ უფრო ხშირია შემთხვევები როდესაც დასაქმებულები მოუმზადებელი ხდებიან სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს მაშინ, როდესაც, ციფრული და მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლით, სულ უფრო მეტი მოთხოვნა ჩნდება განვითარებული კომპეტენციების, გადამზადებულ და ადაპტაციის უნარის მქონე სამუშაო ძალაზე.

ევროსაბჭოს 2022 წლის 25 მაისის N 2023/0100 (NLE) რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს მითითებებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს დასაქმების პოლიტიკისთვის, რომლის თანახმადაც, აუცილებელია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება და გადამზადება, რათა დასაქმებულები პასუხობდნენ მათი დასაქმების პოზიციისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს ან შესაძლებლობა ჰქონდეთ, გადაემზადონ და დასაქმდნენ სხვა განვითარებად სექტორებში. ადამიანებს სჭირდებათ წვდომა ხარისხიან სწავლასა და სწავლებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა გზით და სხვადასხვა გარემოში, რათა განავითარონ თავიანთი პირადი, სოციალური, კულტურული და პროფესიული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

ევროკომისიის პოლიტიკურმა დღის წესრიგმა აქტუალური გახადა განათლების სისტემაში სწავლასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაცია მიზნად ისახავს მიკროკრედიტების განვითარების ინიცირებას ერთიანი ევროპული მიდგომების გათვალისწინებით.



ზემოაღნიშნულის შესაბამისად, განათლების სისტემისადმი გაჩნდა მოთხოვნა, რომ გახდეს უფრო მოქნილი და შეიმუშაოს სტრატეგიები სწავლის პროცესის ინკლუზიურობისთვის, მათ შორის სწავლის სხვადასხვა ფორმატების მხარდაჭერისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიმართულებით. კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ახალი, ინოვაციური გზების მიწოდებით; აღნიშნულ გამოწვევებს, ასევე, პასუხობს არაფორმალური განათლებისა და პროფესიული გადამზადების სექტორიც.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ეფექტიანი კულტურის დასანერგად აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემუშავებული ჰქონდეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გრძელვადიანი სტრატეგია, რათა მათ უპასუხონ სწრაფად ცვალებადი გარემოს გამოწვევებს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ზრდასრულთა სწავლების პროვაიდერებმა და სხვა მიკროკრედიტების კურსების მიმწოდებლებმა (მათ შორის დამსაქმებლებმა) ითანამშრომლონ და გააზიარონ კვლევის უახლესი შედეგები სწავლის შესაძლებლობების შემუშავებისა და განახლებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიკროკრედიტების პოტენციური აღიარებულია ევროკომისიის მიერ, რომელმაც 2022 წლის მაისში 2023/0100 (NLE), მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის, შეიმუშავა რეკომენდაცია მიკროკრედიტების ევროპული მიდგომის დანერგვის შესახებ. (Council of the European Union, 2022) ევროკომისიის რეკომენდაცია განსაზღვრავს ევროპაში მიკროკრედიტების შემუშავების, დანერგვისა და აღიარების ჩარჩოს. იგი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ითანამშრომლონ მიკროკრედიტების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, სტანდარტებთან შესაბამისობისა და მსურველთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. რეკომენდაციის მიზანია ევროპის მასშტაბით ნდობის გაჩენა მიკროკრედიტებისადმი - მისი პროვაიდერებისა და ბენეფიციარებისთვის. ევროკომისიის პოლიტიკურმა დღის წესრიგმა აქტუალური გახადა განათლების სისტემაში სწავლასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაცია მიზნად ისახავს მიკროკრედიტების განვითარების ინიცირებას ერთიანი ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ეფექტიანი კულტურის დასანერგად აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემუშავებული ჰქონდეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გრძელვადიანი სტრატეგია, რათა მათ უპასუხონ სწრაფად ცვალებადი გარემოს გამოწვევებს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ზრდასრულთა სწავლების პროვაიდერებმა და სხვა მიკროკრედიტების კურსების მიმწოდებლებმა (მათ შორის დამსაქმებლებმა) ითანამშრომლონ და გააზიარონ კვლევის უახლესი შედეგები სწავლის შესაძლებლობების შემუშავებისა და განახლებისთვის. ევროკომისიის რეკომენდაცია განსაზღვრავს ევროპაში მიკროკრედიტების შემუშავების, დანერგვისა და აღიარების ჩარჩოს. იგი მოლოდინის წიერ სახიომწოდებისა და დაინტერესებულ მხარეებს ითანამშრომლონ



მიკროკრედიტების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, სტანდარტებთან შესაბამისობისა და მსურველთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. რეკომენდაციის მიზანია ევროპის მასშტაბით ნდობის გაჩენა მიკროკრედიტებისადმი - მისი პროვაიდერებისა და ბენეფიციარებისთვის.

რეკომენდაციის შესაბამისად, მიკროკრედიტებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ 2030 წლისთვის ევროკავშირის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნის შესრულებაში, რომლის თანახმადაც, ზრდასრული მოსახლეობის 60%-ზე მეტი ყოველწლიურად უნდა გადიოდეს ტრენინგებს და დასაქმების მაჩვენებელი უნდა უტოლდებოდეს არანაკლებ 78%-ს.

ევროკომისიამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, 2023 წლის დეკემბრისთვის აცნობონ 2022 წლის 25 მაისის რეკომენდაციის მიზნების მხარდასაჭერად გატარებული ღონისძიებების თაობაზე. ევროკომისია ვალდებულია რეკომენდაციის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში ევროსაბჭოს მოახსენოს რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ. (Council of the European Union, 2022)

უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვის აქტუალურობაზე მეტყველებს ევროკომისიის დაფინანსებითა და მხარდაჭერით შექმნილი არაერთი პროექტი, მათ შორის პროექტი MicroHE. ზემოაღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს მიაწოდოს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში განათლების “მოდულარიზაციის” და “მიკროკრედიტიზაციის” პოლიტიკის ყოვლისმომცველი ანალიზი. ამისთვის პროექტი მიკროკრედიტების მიმართულებით ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარებას გეგმავს, რომელიც არანაკლებ 70 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოიცავს ევროპის კონტინენტზე, მიზანია განისაზღვროს მიკროკრედიტების ცნების ევროპაში დამკვიდრებული გაგება, ევროპულ სივრცეში შემოთავაზებული მიკროკრედიტების სახეობები და მათი განხორციელების სამომავლო ტენდენციები. პროექტის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომი მოდულარიზაციის გავლენის პროგნოზირება DELPHI¹-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით; მიკროკრედიტების აღიარებისთვის ევროპული ინსტრუმენტების შესაბამისობის შესწავლა, კერძოდ, ECTS-ის, დიპლომის დანართებისა და კვალიფიკაციების ჩარჩოების მიმართულებით; „კრედიტების დანართის“ შეთავაზება, რათა დიპლომების დანართებსა და კვალიფიკაციების ჩარჩოებში ხელმისაწვდომი იყოს დეტალური ინფორმაცია მიკროკრედიტების, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS) თავსებადობის თაობაზე; მეტამონაცემთა სტანდარტისა და ერთიანი მონაცემთა ბაზის (clearinghouse) შექმნა ევროპის მასშტაბით მიკროკრედიტების აღიარების, ტრანსფერისა და პორტატიულობის ხელშეწყობისთვის. (MicroHe, n.d.)

¹ The Delphi method <https://www.bps.org.uk/psychologist/delphi-method>



უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების სტიმულირებას ემსახურება ევროკომისიის მხარდაჭერით შექმნილი კიდევ ერთი პროექტი MICROCREDX. პროექტი მიზნად ისახავს, საერთაშორისო თანამშრომლობით ერთობლივი მიკროკრედიტების შემუშავების გზით, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირებული სისტემების შექმნას სწავლისა და დასაქმების შესაბამისი სექტორების ფარგლებში. პროექტი, ასევე, მიზნად ისახავს მიკროკრედიტების აღიარებას შესაბამისი ციფრული პლატფორმების მხარდაჭერითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობით შემუშავებული მიკროკრედიტების ფარგლებში, სწავლა-სწავლების ინოვაციური პრაქტიკების სტიმულირებას. (MICROCREDX, n.d.)

პროექტი „Modularisation of Continuing Education and professionalisation by Micro-credentials (MCE)“ შემუშავებულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა ნაბიჯები 2021-2025 წლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარებისთვის. პროექტი მიზნად ისახავს მიკროკრედიტების კონცეფციის შესწავლას, მისი შემდგომი განვითარებისთვის, რათა შემუშავებულ იქნეს სწავლის მსურველზე ორიენტირებული მოდულური/მიკროკრედიტების ფორმატები. პროექტი ასევე ორიენტირებულია მოდულარული პროგრამებისა და მიკროკრედიტების განხორციელების მიმართულებით უსდ-ების მხარდაჭერაზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიკროკრედიტების ტესტირებაზე შემთხვევის შესწავლისა და პილოტირების მეშვეობით, ევროპული ჩარჩოებისთვის მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით პოლიტიკის განვითარებაზე, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების (Continuous Education and Professional Development (CEPD)) მიმართულებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიკროკრედიტების განმარტებისას, აგრეთვე, განსაზღვრულია მიკროკრედიტების მოცულობის დიაპაზონი ECTS კრედიტებში, რომლის თანახმადაც, მიკროკრედიტების მოცულობა უნდა მერყეობდეს 1.5 ECTS კრედიტიდან- 45 ECTS კრედიტის ჩათვლით. (MCE project, n.d.)

მიკროკრედიტების ეროვნულ დონეზე დანერგვის აქტუალურობას ეხმიანება ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული MICROBOL-ის პროექტი (European project MICROBOL, 2022), რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი საკვლევითი თემა იყო, ეროვნულ დონეზე, უმაღლესი განათლების ფორმალურ სივრცეში მიკროკრედიტების დანერგვის საჭიროების გამოკვეთა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, 2021 წელს განხორციელებული განხორციელებულიპრაქტიკის კვლევის „საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში მიკროკრედიტების სისტემის (MICROBOL) არსებული პრაქტიკის კვლევა“ შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უმთავრეს გამოწვევად გამოკვეთეს მიკროკრედიტების დანერგვისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა. (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2021)

ევროპის ქვეყნებში მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით არსებული გამოცდილება მიუთითებს, რომ მიკროკრედიტებისაგან არაერთი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი, კერძოდ:





- **ფორმალურ განათლებაზე, მათ შორის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა** - მიკროკრედიტებს შეუძლია უმაღლესი განათლება უფრო ხელმისაწვდომად აქციოს სხვადასხვა გამოცდილების მქონე პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის. მათ შორის მათთვის, ვინც სრული დატვირთვით მუშაობს და აქვს სხვა ვალდებულებები;
- **ფინანსური ხელმისაწვდომობა** - მიკროკრედიტები, როგორც წესი, უფრო შეღავათიანი საფასურის მქონე პროგრამებია, ვიდრე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები;
- **მოქნილობა** - მიკროკრედიტების მიღება/მოპოვება შესაძლებელია შედარებით მოკლე პერიოდში და შეესაბამება ჩარიცხულ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- **შესაბამისობა** - მიკროკრედიტები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს დამსაქმებლის, შრომის ბაზრის საჭიროებებს;
- **კომბინირების ფუნქცია** - მიკროკრედიტები შესაძლებელია გაერთიანდეს უფრო ფართო კვალიფიკაციის (მაგალითად: პროფესიული ან/და უმაღლესი) მიზნებისთვის.

საგულისხმოა, რომ ევროპაში მიკროკრედიტების პროგრამებს ახორციელებენ, როგორც სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ისე ტრენინგ-ცენტრები, აგრეთვე პროფესიული ორგანიზაციები, ასოციაციები და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. პროგრამები ხორციელდება როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ ან ჰიბრიდულ ფორმატში. შესაბამისად, მათზე წვდომა და შემოთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაც იზრდება. არსებობს რამდენიმე საერთო პრინციპი, რომლებსაც მიკროკრედიტების განმახორციელებელი ყველა დაწესებულება ითვალისწინებს. პირველ რიგში, მიკროკრედიტები სულ უფრო აქტიურად განიხილება, როგორც სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების საშუალება. შედეგად, უფრო მეტი დამსაქმებელი იწყებს მიკროკრედიტების აღიარებას. აგრეთვე, მიკროკრედიტები ხშირად მოდულარული სახისაა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია რამდენიმე მიკროკრედიტის გაერთიანება, შედარებით ფართო კვალიფიკაციად აღიარების მიზნებისთვის. აღნიშნული ამარტივებს მიკროკრედიტების როგორც მოპოვებას ისე სწავლასაც. აგრეთვე, მარტივდება მიკროკრედიტების პორტატიულობაც, რადგან შესაძლოა სხვადასხვა სახის ინსტიტუციაში იყოს აღიარებული. (UNESCO, 2022).

1. თემატური ანალიზის მიზანი და ამოცანები

თემატური ანალიზი მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით არსებული ჩარჩო-დოკუმენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკების მიმოხილვის გზით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის, განხორციელებისა და





აღიარებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საჭიროებების იდენტიფიცირებას და საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

თემატური ანალიზის მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- მიკროკრედიტების არსებული დეფინიციების მიმოხილვა და დოკუმენტის მიზნებისთვის მიკროკრედიტის დეფინიციის განსაზღვრა.
- მიკროკრედიტების აღმწერი ძირითადი ელემენტების განსაზღვრა;
- უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების მიმართულებით არსებული ჩარჩო დოკუმენტებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლა და ხარისხის უზრუნველყოფის ფორმებისა და მექანიზმების იდენტიფიცირება;
- ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით;
- ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, იდენტიფიცირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გაანალიზება განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის კრილში.

2. მეთოდოლოგია

კვლევის მიზნისა და ამოცანების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს ქვეყნები, რომლებსაც ჰქონდათ მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების გამოცდილება და შესაბამისი წყაროები, რომელთა მოკვლევა და გაანალიზება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წინამდებარე თემატურ ანალიზზე მუშაობის პროცესში.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ევროკავშირის ორი წევრი ქვეყნისა და ორი არაწევრი ქვეყნის მაგალითები. მიმოხილულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, ესტონეთსა და ახალ ზელანდიაში არსებული რეგულაციები და გამოცდილება უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით. განვიხილეთ აღნიშნულის თაობაზე ევროსაბჭოს, განათლების ევროპული ფონდისა (ETF) და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის





ორგანიზაციის (UNESCO) რეკომენდაციები, ანგარიშები და კვლევები. აგრეთვე, მიმოვიხილეთ ეროვნულ დონეზე მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის.

აღნიშნულმა საშუალება მოგვცა, ეროვნული კონტექსტისა და უმაღლესი განათლების მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, შეგვემუშავებინა რეკომენდაციები უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის განსაზღვრისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოწესრიგების მიზნით.

3. მიკროკრედიტები - დეფინიცია

მიკროკრედიტები, იგივე მცირეკრედიტიანი პროგრამები, არის მცირე მოცულობის სასწავლო აქტივობები - კურსები, რომლებიც აღიარებულია მრავალი სახელმწიფოს მიერ. ევროპაში მოქმედი პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული კურსები შესაძლებელია შეთავაზებულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, აღიარებულ იქნეს წინარე განათლების ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ლისაბონის კონვენციის შესაბამისად. მიკროკრედიტების დანიშნულებაა პირის აღჭურვა სპეციფიკური ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობს სოციალურ, კულტურულ, პიროვნულ და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. მიკროკრედიტები სამუშაო ადგილზე ან მის მიღმა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელსაც იყენებენ დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და არაკომერციული ორგანიზაციები, რადგან ეს ინსტრუმენტი ყველაზე უკეთ და ეფექტიანად პასუხობს დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. (European project MICROBOL, 2020)

მსოფლიოს მასშტაბით, მიკროკრედიტების შინაარსის, მოცულობისა და განხორციელების ფორმის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერმინის განმარტებაც მრავალგვარია.

ევროკომისია მიკროკრედიტებს განმარტავს, როგორც სწავლის შედეგების ჩანაწერს, რომელიც პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა შეიძინა მცირე მოცულობის სწავლის/სასწავლო აქტივობების შედეგად, ხოლო ეს სწავლის შედეგები შეფასებულია გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტებით (European Commission, 2021).



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „მიკროკრედიტები კრედიტთან ასოცირებული სასწავლო აქტივობებია, რომელიც ადასტურებს უნარს ან კომპეტენციას, რომელიც ორგანიზებული სასწავლო პროცესის შედეგადაა შეძენილი და დადასტურებულია შეფასების გზით“. (OECD, 2021).

ევროპის კომისიის პროექტი MicroHE მიკროკრედიტებს განსაზღვრავს კვალიფიკაციის ქვეერთეულად, ან კვალიფიკაციად, რომელიც შესაძლებელია აკუმულირდეს უფრო ფართო კვალიფიკაციაში ან იყოს პორტფოლიოს ნაწილი. მიკროკრედიტი შესაძლებელია დამოწმდეს სერტიფიკატით, ბეჯებით, მიკრო მაგისტრისა და ნანოხარისხებით (MicroHE, 2019).

ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების მმართველი ორგანო New Zealand Qualification Authority (NZQA) მიკროკრედიტებს განმარტავს, როგორც უნარებისა და ცოდნის თანმიმდევრული მიღწევის დადასტურებას. განმარტების მიხედვით, მიკროკრედიტები აღწერილი უნდა იყოს მკაფიო მიზნით, სწავლის შედეგებით, ინდუსტრიის, დამსაქმებლების, საზოგადოების საჭიროებების მყარი მტკიცებულებებით. მიკროკრედიტების მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე კვალიფიკაცია და ორიენტირებულია უნარების განვითარების შესაძლებლობებზე, რომლებიც ამჟამად არ არის გათვალისწინებული ფორმალური უმაღლესი განათლების სისტემაში. (New Zealand Qualification Authority (NZQA) 2021, 8).

ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიკროკრედიტებთან მიმართებით, განსაზღვრავს შემდეგს: „მიკროკრედიტი ამოწმებს და ადასტურებს, რომ მიღწეულია კონკრეტული უნარები და/ან კომპეტენციები, რომლებიც განსხვავდება ტრადიციული ხარისხებისა და სერთიფიკატებისაგან, რადგან უფრო ვიწრო ფოკუსი აქვს და ხორციელდება უფრო მოკლე ან უფრო მოქნილ ვადებში“. (State University of New York, 2021, 10).

მალაიზიის კვალიფიკაციების განვითარების სააგენტო მიკროკრედიტებს განმარტავს, როგორც კონკრეტულ სფეროში შეფასებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ციფრულ სერტიფიცირებას, რომელიც შეიძლება იყოს აკრედიტებული პროგრამის კომპონენტი ან ცალკე მდგომი კურსი, რომელიც ხელს უწყობს ჩარიცხული პირის პროფესიონალურ, ტექნიკურ, აკადემიურ და პერსონალურ განვითარებას. (Malaysian Qualification Agency, 2020).

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიკროკრედიტების აღმწერ დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს შემდეგი განმარტება: „კრედიტების დაგროვება კვალიფიკაციების ჩარჩოების შესაბამის დონეზე, რომელიც ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს; როგორც წესი, მიკროკრედიტები კვალიფიკაციების ჩარჩოებში არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებელ კვალიფიკაციად, თუმცა, მიკროკრედიტების მოცულობის ზედა და ქვედა ზღვარი არ არის დაწესებული.“ (Quality Assurance Agency for Higher Education, 2022).



ელექტრონული კურსების პლატფორმა FutureLearn მიკროკრედიტებს განმარტავს, როგორც სწავლის შედეგების სერტიფიცირებას, რომლის აკუმულირებაც შესაძლებელია უფრო ფართო კრედიტებში ან კვალიფიკაციებში. მიკროკრედიტები შესაძლებელია იყოს პორტფოლიოს ნაწილი, როგორც ცალკეული პირის მიერ სწავლის მტკიცებულება ან ჰქონდეს ცალკე მდგომი დირებულება (FutureLearn, n.d.).

ევროპის განათლების ფონდი (ETF) სახელმძღვანელოში „მიკროკრედიტების შემუშავება, განხორციელება და აღიარება“ გამოყოფს მიკროკრედიტების 3 ძირითად სახეობას/ კლასტერს, ესენია:

უნარების კრედიტი - სწავლის ხანგრძლივობა 1-25 საათი, ენიჭება არაფორმალური განათლების კონტექსტში, არ აქვს გავლილი ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები, უკავშირდება სპეციფიკური კომპეტენციის გამომუშავებას;

სასწავლო ერთეული - სწავლის ხანგრძლივობა 25-150 საათი, ხორციელდება ფორმალური განათლების კონტექსტში და შეფასების სხვადასხვა ვარიანტს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი განხორციელებულია გარე მასკრედიტებელი ორგანოს მიერ. დაკავშირებულია რამდენიმე სწავლის შედეგის დაუფლებასთან;

მოკლე სასწავლო პროგრამა - სწავლის ხანგრძლივობა 150-1500 საათი; როგორც წესი, მოიცავს ერთზე მეტ სასწავლო ერთეულს. ხორციელდება ფორმალური განათლების კონტექსტში და მოიცავს შეფასების სხვადასხვა ვარიანტს. ხარისხის უზრუნველყოფა ყოველთვის ხორციელდება გარე მასკრედიტებელი ორგანოს მიერ; დაკავშირებულია კარიერული წინსვლის კონკრეტულ მიზნებთან. მიკროკრედიტები შესაძლებელია ჩართული იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში, როგორც ნაწილობრივი ან სპეციალური კატეგორიის კვალიფიკაციები. (European Training Foundation (ETF), 2022)

აღნიშნული სახელმძღვანელო, მიკროკრედიტების აღიარებისთვის და პროგრამაზე ჩარიცხული პირების, განმახორციელებლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან ნდობის გაზრდისთვის, აქცენტს სვამს მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე.

ყველა ზემოაღნიშნული განმარტება ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდის იმასთან დაკავშირებით, რომ მიკროკრედიტები მცირე მოცულობის კვალიფიკაციებია, რომელთა მიღებაც შესაძლებელია დროის შედარებით მცირე მონაკვეთში. მიკროკრედიტები შემუშავებულია იმისათვის, რომ ჩარიცხულ პირებს გამოუმუშავოს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ დაეხმარება სწრაფად ცვალებადი სამუშაო ძალის პირობებში, წარმატებების მიღწევაში. მიკროკრედიტების გაერთიანებით შესაძლებელია უფრო ფართო კვალიფიკაციის მიღება.





შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ მიკროკრედიტების განხორციელება მრავალ ფორმატშია შესაძლებელი - მათ შორის ონლაინ კურსები, ვორკშოპები, სტაჟირება. მიკროკრედიტების გამომუშავება შეიძლება ტრადიციული საკვალიფიკაციო პროგრამების ფარგლებში ან ცალკე მდგომი კურსების სახით. თუმცა, ის ტრადიციულ საკვალიფიკაციო პროგრამებზე გაცილებით მეტად ხელმისაწვდომია, მოქნილია და ჩარიცხულ პირს საშუალებას აძლევს, კრედიტები დააგროვოს მისთვის სასურველ გარემოში, სასურველი ტემპით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, მიკროკრედიტი განიმარტება როგორც სტრუქტურირებულ გარემოში მცირე მოცულობის სასწავლო აქტივობის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისა და დადასტურების დოკუმენტური მტკიცებულება. მიკროკრედიტი შესაძლებელია იყოს დამოუკიდებლად არსებული მცირე კვალიფიკაცია ან კომბინირდეს სხვა მიკროკრედიტებთან, უფრო ფართო კვალიფიკაციის მიზნებისთვის.

აღნიშნულის შესაბამისად, სტრუქტურირებული გარემო გულისხმობს, ორგანიზებული ფორმით სწავლებას. ზემოაღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე, უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტები არ გულისხმობს ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნისა და უნარების ((Informal) არაფორმალური განათლება) დადასტურებას.

4. უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების მიმართულებით არსებული ჩარჩო დოკუმენტების მიმოხილვა

4.1 ევროსაბჭოს რეკომენდაციები

ევროსაბჭომ 2022 წელს მიიღო რეკომენდაცია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმებისთვის, მიკროკრედიტების დანერგვის ევროპული მიდგომის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდება რეგიონული, ეროვნული და ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრიორიტეტების, ეროვნული თავისებურებებისა და არსებული

რესურსების, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ეროვნული განათლების, ტრენინგის, უწყვეტი სწავლისა და დასაქმების სისტემების მახასიათებლების შესაბამისად და ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ევროკომისია წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას უწევს, რაც შეიძლება მალე განახორციელონ წინამდებარე რეკომენდაცია და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს 2023 წლის დეკემბრამდე



აცნობონ კომისიას ამ რეკომენდაციის მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციის მიზნები და ფარგლები, „მიკროკრედიტების“ და მასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების დეფინიცია; მიკროკრედიტების ევროპული, სტანდარტული და სავალდებულო ელემენტების აღწერა. წევრი სახელმწიფოებისთვის განსაზღვრულია რეკომენდაციები მიკროკრედიტების ეკოსისტემის განვითარებასთან დაკავშირებით; განათლების სხვადასხვა ქვესისტემაში მიკროკრედიტების განხორციელების პოტენციალთან დაკავშირებით; მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ და ამ მიზნით, შესაძლებლობისამებრ, ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების გამოყენებასთან, ან მათ ადაპტირებასა და მოდიფიცირებასთან დაკავშირებით; აგრეთვე, წევრი სახელმწიფოებისთვის წარმოდგენილია რეკომენდაციები დასაქმებისა და შრომის ბაზრის პოლიტიკაში მიკროკრედიტების ინტეგრირებასთან დაკავშირებით; აქტივობებისა და შესაბამისი კვლევების განხორციელებისთვის უცხოეთში მიღებული მიკროკრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით და, დამატებით, რეკომენდებულია მიკროკრედიტების აღიარების მექანიზმების შემუშავება; ასევე, რეკომენდაციები მოიცავს პირების მიერ მიღებული მიკროკრედიტების ასახვას სხვადასხვა ელექტრონულ სისტემაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში); რეკომენდებულია მიკროკრედიტების გამოყენება ხანდაზმულთა, სოციალურად დაუცველ პირთა, უმცირესობების წარმომადგენელთა, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა, სიდუხჭირეში მცხოვრებთა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირთა და ა.შ. კომპეტენციებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის. აგრეთვე, რეკომენდებულია მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით კვლევების განხორციელება და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებთან; მიკროკრედიტების გამოყენება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისთვის და ა.შ.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მიკროკრედიტების ევროპული მიდგომის გაზიარება მიზნად ისახავს:

- ინდივიდებს საშუალება მისცეს, შეიძინონ, განაახლონ და გააუმჯობესონ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც მათ სჭირდებათ სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისა და განვითარებისთვის. სრულად ისარგებლონ სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული გადასვლით მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე და უკეთ აღიჭურვონ ისეთი უნარებით, რაც მათ მიმდინარე და მომავალ გამოწვევებთან გამკლავებაში დაეხმარება;
- მიკროკრედიტების პროვაიდერთა მზაობის მხარდაჭერას სწავლის ხარისხის, გამჭვირვალობის, მოქნილობისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, რათა



დაინტერესებულ პირებს სწავლისა და კარიერული განვითარების პერსონიფიცირებული გზების შექმნის საშუალება მიეცეთ;

ინკლუზიურობის, ხელმისაწვდომობისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობას და ასევე მდგრადობის, სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის მიღწევას დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებების კონტექსტში და, ასევე, ეკონომიკური ციკლის ყველა ფაზაში. (Council of the European Union, 2022).

4.2 მიკროკრედიტების აღწერის ევროპული სტანდარტული ელემენტები

ევროკომისია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას უწევს, რომ მოახდინონ მიკროკრედიტების ადაპტირება და პოპულარიზაცია ევროკომისიის განმარტებაში მოცემული შინაარსით.²

ევროკომისიის რეკომენდაციაში განსაზღვრულია ევროპის სტანდარტული სავალდებულო ელემენტები მიკროკრედიტების აღწერისთვის:

სავალდებულო ელემენტები

მსწავლელის საიდენტიფიკაციო მონაცემები

6

მიკროკრედიტის დასახელება
მიმნიჭებელი/განმახორციელებელი ქვეყანა (ქვეყნები)/რეგიონი (რეგიონები)
მიკროკრედიტის მიმნიჭებელი ორგანო

² კერძოდ, „მიკროკრედიტები ნიშნავს ჩანაწერს სწავლის შედეგების შესახებ, რომლებსაც ჩარიცხული პირი დაუფლა მცირე მოცულობით სწავლის გზით. აღნიშნული სწავლის შედეგები შეფასებულ იქნა გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით. მიკროკრედიტების სასწავლო გამოცდილება შემუშავებულია იმიტომ რომ სწავლის მსურველი აღჭურვოს სპეციფიკური ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობს საზოგადოების, პერსონალურ, კულტურულ და შრომის ბაზრის საჭიროებებს. ჩარიცხული პირის მიერ დაგროვილი მიკროკრედიტები შესაძლებელია გაზიარდეს და პორტატული იყოს. შესაძლებელია ჰქონდეს ცალკე მდგომი ღირებულება ან გაერთიანდეს უფრო ფართო კრედიტებში/კვალიფიკაციაში. მიკროკრედიტები ემყარება შესაბამის სექტორში ან საქმიანობის სფეროში შეთანხმებულ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს.“ (Council of the European Union 2022).



მინიჭების თარიღი
სწავლის შედეგები
ეროვნულ დონეზე განსაზღვრული დატვირთვის მოცულობა სწავლის შედეგების მიღწევისთვის (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა – ECTS, ან ნებისმიერი სხვა)
მიკროკრედიტის დონე (და ციკლიც სადაც რელევანტურია) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს EQF LLL, და ევროპული სივრცის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს QF EHEA მიხედვით (სადაც ეს შესაძლებელია).
შეფასების სახეობა
სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ფორმა
მიკროკრედიტის ფარგლებში გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სახეობა

არასავალდებულო ელემენტები

წარმოდგენილი ელემენტების სია არ არის ამომწურავი

მსწავლელის საიდენტიფიკაციო მონაცემები

სასწავლო აქტივობაზე ჩარიცხვის წინაპირობები
მეთვალყურეობა და იდენტობის დადასტურება შეფასების დროს (ზედამხედველობის გარეშე)



<p>იდენტობის დადასტურების გარეშე, მეთვალყურეობის ქვეშ იდენტობის დადასტურების გარეშე,</p> <p>მეთვალყურეობა ონლაინ, ან ადგილზე იდენტობის დადასტურებით)</p>
<p>მიღებული შეფასება</p>
<p>ინტეგრაციის/კომბინირების შესაძლებლობები (ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი მიკროკრედიტი/ინტეგრირებული; სხვა კრედიტებთან კომბინირებული)</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია</p>

ზემოაღნიშნული სტანდარტული ელემენტები ჩართული იქნება მონაცემთა ევროპულ მოდელში, რომელიც საერთო ფორმატს განსაზღვრავს მიკროკრედიტების აღწერისთვის. მას ექნება ღია სტანდარტის სახე, რომელსაც გამოიყენებენ მიკროკრედიტების პროვაიდერები. აღნიშნული, ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობას და მიკროკრედიტებზე ინფორმაციის გაცვლის გამარტივებას.

დოკუმენტში ევროსაბჭო ასევე აყალიბებს 10 ძირითად პრინციპს მიკროკრედიტების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, ესენია:

1. ხარისხი

მიკროკრედიტები ექვემდებარება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფას მათი შემმუშავებელი/განმხორციელებელი სისტემის მიერ (მაგ. განათლების, ტრენინგის ან შრომის ბაზრის კონტექსტი, რომელშიც შემუშავებული და შემოთავაზებულია მიკროკრედიტი).

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უნდა იყოს მიზანმიმართული, მკაფიოდ დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი და აკმაყოფილებდეს პროგრამაზე ჩარიცხულ პირებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და მოლოდინებს.

პროვაიდერები: ხარისხის გარე უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეფუძნოს პროვაიდერების (და არა ცალკეული კურსების შეფასებას) და მათი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ეფექტიანობის შეფასებას.

პროვაიდერები უნდა დარწმუნდნენ, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს:

თავად მიკროკრედიტის საერთო ხარისხი უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ სტანდარტებს:

- იმ კურსის ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც სრულდება მიკროკრედიტების მინიჭებით;
- პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა უკუკავშირი იმ კურსის შესახებ, რომელიც სრულდება მიკროკრედიტების მინიჭებით;
- თანასწორთა გამოხმაურება: იმ საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ, რომელიც სრულდება მიკროკრედიტების მინიჭებით, თანასწორებად შესაძლებელია მოაზრებულ იქნენ მიკროკრედიტების სხვა პროვაიდერები და დაინტერესებული მხარეები.

სტანდარტები: სადაც შესაძლებელია, მიკროკრედიტების ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეკომენდაციის IV დანართით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

ასევე, სადაც შესაძლებელია, ხარისხის უზრუნველყოფისას გამოყენებულ იქნეს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები;

პროფესიული განათლების საფეხურზე, სადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპული ქსელის, EQAVET-ის ჩარჩო.

მიკროკრედიტების მიმართ საზოგადოების ნდობის გასამყარებლად, სადაც შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ინსტრუმენტები, მათ შორის რეესტრები, ლეიბლები/ეტიკეტები და ა.შ.

2. გამჭვირვალობა

მიკროკრედიტები არის გაზომვადი, შედარებადი და გასაგები. მის შესახებ მოცემული უნდა იყოს მკაფიო ინფორმაცია სწავლის შედეგებზე, დატვირთვაზე, შინაარსზე, მიკროკრედიტის პროგრამის დონესა და სასწავლო შეთავაზებასთან დაკავშირებით.

დატვირთვა: უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და, სადაც ეს შესაძლებელია, შეასრულონ EQF რეკომენდაციის V დანართის პრინციპები, რათა აჩვენონ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული დატვირთვა, რომელიც საჭიროა მიკროკრედიტების სწავლის შედეგების მისაღწევად.

იმ პროვაიდერებს, რომლებიც არ იყენებენ ECTS-ს, შეუძლიათ გამოიყენონ სხვა სისტემები სწავლის შედეგების მიღწევითვის საჭირო დატვირთვის აღსაწერად EQF რეკომენდაციის V დანართში მოცემული პრინციპების შესაბამისად.

კვალიფიკაციების ჩარჩოები/სისტემები: მიკროკრედიტები სადაც ეს რელევანტურია, შესაძლებელია ჩართულ იქნას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებში/სისტემებში, ეროვნული პრიორიტეტებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები/სისტემები რეფერენსირებულია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებისთვის თვითსერტიფიცირებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციის ჩარჩოში, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მიკროკრედიტების გამჭვირვალობასა და ნდობას.

მიკროკრედიტების სისტემის შეთავაზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და მკაფიო, რათა მას დაეფუძნოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის/ჩარიცხვის მსურველთათვის განკუთვნილი საინფორმაციო/სახელმძღვანელო სისტემები ეროვნულ დონეზე არსებული პრაქტიკისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესაბამისად.

სადაც შესაძლებელია, გამოქვეყნდეს ინფორმაცია მიკროკრედიტების პროვაიდერების შესახებ არსებულ შესაბამის რეესტრებში.

სადაც შესაძლებელია აისახოს უმაღლესი განათლების პროვაიდერების (და სხვა შესაბამისი პროვაიდერების) შესახებ ინფორმაცია, გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების მონაცემთა ბაზაში (DEQAR), ევროპის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად უმაღლესი განათლების სივრცე (ESG);

ინფორმაცია სწავლის იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც სრულდება მიკროკრედიტების მინიჭებით, ხელმისაწვდომი და მარტივად ტრანსფერირებადი უნდა იყოს შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით, მათ შორის Europass-ის პლატფორმით.



3. შესაბამისობა

მიკროკრედიტები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს, როგორც განსხვავებული მიზანმიმართული სასწავლო მიღწევები და მათთან დაკავშირებული სწავლის შესაძლებლობები საჭიროებისამებრ უნდა განახლდეს, განსაზღვრული სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მხარდაჭერილი იყოს საგანმანათლებლო და ტრენინგ-ორგანიზაციებს, დამსაქმებლებს, სოციალურ პარტნიორებს, მიკროკრედიტების განმახორციელებელ დაწესებულებებს, სხვა პროვაიდერებსა და მომხმარებლებს შორის თანამშრომლობა, რათა გაიზარდოს მიკროკრედიტების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

4. შეფასების ვალიდურობა

მიკროკრედიტები უნდა შეფასდეს გამჭვირვალე კრიტერიუმებით.

5. სწავლის გზები

მიკროკრედიტები შემუშავდება და გაიცემა სწავლის მოქნილი საშუალებების მხარდასაჭერად, მათ შორის, სხვადასხვა სისტემებიდან მიკროკრედიტების ვალიდაციის, აღიარების და „კომბინირების“ შესაძლებლობის ჩათვლით.

კომბინირება

მიკროკრედიტები შემუშავებულია მოდულარულად, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი დამატება/კომბინირება სხვა მიკროკრედიტებთან უფრო ფართო კვალიფიკაციის მიზნებისთვის. მიკროკრედიტების კომბინირების ან გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიმღებ ორგანიზაციას (მაგ. საგანმანათლებლო და სატრენინგო დაწესებულებებს, დამსაქმებელს და ა.შ.), რომელიც, მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად, უნდა დაეხმაროს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიზნების მიღწევასა და საჭიროებების დაკმაყოფილებას. მიკროკრედიტების კომბინირება სხვა მიკროკრედიტებთან, სერტიფიკატებთან ან კვალიფიკაციებთან არ იწვევს კვალიფიკაციის ან ხარისხის ავტომატურ დაუფლებას.

ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება რეგიონული და ეროვნული ხელისუფლების ან ინსტიტუტების მიერ, კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის შესაბამისად.

არაფორმალური განათლების აღიარება

მიკროკრედიტების მოპოვება შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასების გზით, ან იმ კურსის გავლით, რომელიც ანიჭებს მიკროკრედიტებს, ან არაფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე.

6. აღიარება

მიკროკრედიტებს მცირე მოდულებისთვის აქვს მკაფიო მნიშვნელობის სწავლის შედეგები. აღიარების შესაძლებლობები გზას უხსნის, ევროკავშირის მასშტაბით, მსგავსი სასწავლო გამოცდილების შედარებით ფართოდ შეთავაზებას.

სადაც შესაძლებელია, მიკროკრედიტები აღიარებულ იქნას შესაბამისი კომპეტენტური უწყების მიერ, აკადემიური, ტრენინგის ან დასაქმების მიზნებისთვის. აღიარებისთვის მოწოდებული ინფორმაცია უნდა დაეფუძნოს მიკროკრედიტების აღწერისთვის განსაზღვრულ სტანდარტულ ევროპულ ელემენტებს, რეკომენდაციის (დანართი N1) და მიკროკრედიტების შემუშავებისა და განხორციელების პრინციპებს (დანართი N2).

იქ სადაც მიკროკრედიტები ხორციელდება ფორმალური განათლების პროვაიდერების მიერ, აღიარებულ იქნას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სტანდარტული პროცედურებით (სადაც შესაძლებელია).

აღნიშნული არ ზღუდავს კომპეტენტური ორგანოების უფლებას, თავად განსაზღვრონ აღიარების პროცედურები ან გადაამოწმონ დოკუმენტების ავთენტურობა.

7. პორტატიულობა

მსწავლელის მიერ მოპოვებული მიკროკრედიტების შენახვა და გაზიარება მარტივად არის შესაძლებელი, (მაგ. Europass-ით). მონაცემთა დაცვის საერთო რეგლამენტის შესაბამისად, მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურა დაფუძნებულია ღია სტანდარტებსა და მონაცემთა მოდელზე. ეს უზრუნველყოფს ურთიერთთანამშრომლობას, მონაცემთა უწყვეტ გაცვლას და მონაცემთა ავთენტურობის შეუფერხებლად შემოწმების საშუალებას იძლევა.

8. პროგრამაზე ჩარიცხულ პირებზე

მიკროკრედიტები შემუშავებულია იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა ჯგუფის საჭიროებებს. პროგრამაზე ჩარიცხული პირები ჩართულნი არიან შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, და მათი უკუკავშირი გათვალისწინებული იქნება მიკროკრედიტების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესში.

9. ავთენტურობა

მიკროკრედიტები საკმარის ინფორმაციას მოიცავს იმისათვის, რომ მისი მფლობელის და მისი განმახორციელებლის იდენტობა დადგინდეს. აგრეთვე, განისაზღვროს მიკროკრედიტის მინიჭების/გაცემის ადგილი და თარიღი.

10. ინფორმაცია და სახელმძღვანელო პრინციპები

ინფორმაცია და რჩევები მიკროკრედიტების შესახებ ინტეგრირებული უნდა იყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სახელმძღვანელო სერვისებში; უნდა მოიცვას პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაც შეიძლება ფართო ჯგუფი, და მხარი დაუჭიროს განათლების, ტრენინგებისა და კარიერის არჩევას.





5. მიკროკრედიტების შესაძლებლობების რეალიზება

ევროსაბჭო წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას უწევს მიკროკრედიტები დანერგონ და მოახდინონ მათი ინტეგრირება განათლებისა და ტრენინგის სისტემებსა და უნარების პოლიტიკაში (სადაც შესაძლებელია), მათ შორის:

- 1) მიკროკრედიტები ჩართონ განათლებისა და ტრენინგების შეთავაზებებში;
- 2) მიკროკრედიტები გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის მსურველთათვის (მათ შორის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების, შშმ და სსსმ პირების, ხანდაზმულების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების, სოციალურ სიდუხჭირეში მცხოვრები პირების, უმცირესობების წარმომადგენლების, მიგრანტის წარსულის მქონე პირებისა და დევნილების, ასევე იმ პირებისთვის, რომლებსაც გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხელი არ მიუწვდებათ ფართო სპექტრის საგანმანათლებლო სერვისებზე) განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის;
- 3) სადაც შესაძლებელია, მიკროკრედიტები გამოიყენონ სწავლის მოქნილი გზების მხარდასაჭერად საშუალო განათლებიდან ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან უმაღლეს განათლებაზე და ზრდასრულთა განათლებაზე გადასვლისთვის.
- 4) სადაც შესაძლებელია, მიკროკრედიტები გამოიყენონ იმისთვის, რომ მოხდეს მათი ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებთან ან შეავსოს ისინი;
- 5) მიკროკრედიტები გამოყენებულ იქნეს მსურველთა ფართო სპექტრის ციფრული უნარებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, ციფრული განათლების სამოქმედო გეგმისა და სოციალური უფლებების ევროპული სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- 6) მწვანე ტრანზიციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ნაწილში უზრუნველყონ მსურველთათვის მიკროკრედიტების ხელმისაწვდომობა და აღნიშნული გამოყენებულ იქნეს ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულების ინსტრუმენტად;
- 7) საგანმანათლებლო დაწესებულებების ტრენინგ ცენტრების და სხვა პროვაიდერების მიერ მიკროკრედიტების გამოყენება მხარდაჭერილ იქნეს თანმხლებ ცოდნისა და ინოვაციების ეკოსისტემასთან თანამშრომლობით, რათა ეკონომიკაზე მიკროკრედიტების პოტენციური დადებითი გავლენის გაზრდის მიზნით გაზარდოს მათი შესაბამისობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე;
- 8) ხელი შეუწყონ მიკროკრედიტების მნიშვნელობის გაგებას მასწავლებლებისა და ტრენერების, (მაგ. Erasmus+ მასწავლებელთა აკადემიების კონტექსტში), აგრეთვე აკადემიური სფეროს წარმომადგენლების, მკვლევრების და სხვა დაკავშირებული პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარების გზით;
- 9) ითანამშრომლონ მიკროკრედიტების გამოყენებაში უახლესი კვლევის შედეგების სწავლის შესაძლებლობებში სწრაფად გადატანის მიზნით, აგრეთვე გააძლიერონ სინერგია ევროპის განათლების სივრცესა და ევროპის კვლევით სივრცეს შორის;



10) მხარი დაუჭირონ ევროპულ განათლების სივრცეში მიკროკრედიტების გამოყენების შესწავლას სწავლის არჩევანისა და საგანმანათლებლო პრაქტიკის და ა.შ. მიმართულებით, სხვადასხვა სახის შესაძლო დისკრიმინაციულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად.

სადაც შესაძლებელია, წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშაონ ევროკავშირის ინსტრუმენტები და სერვისები ან არსებულის ადაპტირება მოახდინონ ყველა ტიპის პროვაიდერის მიერ მიკროკრედიტების განხორციელების ხელშეწყობისთვის:

რეკომენდაციის ფარგლებში ევროსაბჭო წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ სახელმწიფოთაშორის და სხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობას მიკროკრედიტების მიმართულებით, როგორც რეგიონულ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. აგრეთვე, რეკომენდებულია თანამშრომლობა მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, რაც მათ მიმართ ორმხრივ ნდობას გაზრდის; უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტრენინგ-ცენტრების საერთაშორისო გაერთიანებებისა და ალიანსების გამოყენება მიკროკრედიტების შემუშავებისა და განხორციელების წახალისებისთვის; რეკომენდებულია, მიკროკრედიტების გამოყენება დაინერგოს მასწავლებელთა განათლებისა და მასწავლებელთა გადამზადებისთვის. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ევროსაბჭო რეკომენდაციას უწევს, ითანამშრომლონ მიკროკრედიტების შემდგომი კვლევების განვითარებისთვის.

6. მიკროკრედიტების კომბინირებადობა (Stackability)

მიკროკრედიტების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის მათი „კომბინირება“, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება გაერთიანდეს უფრო ფართო სასწავლო მოდულში ან კვალიფიკაციაში.

მიკროკრედიტების კომბინირებისთვის საკვანძო ელემენტია სწავლის შედეგების აღიარება. მიკროკრედიტები, რომლებიც შეესაბამება ბოლონიის სტანდარტებს, შეიძლება აღიარებულ იქნეს ლისაბონის კონვენციის შესაბამისად. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამდარებული ორგანოს მუშაობას და აღიარების პროცესის შედეგებს მსურველთათვის უფრო გამჭვირვალესა და პროგნოზირებადს ხდის. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ლინკოლნის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მოკლე კურსებისა და მიკროკრედიტების დამტკიცების შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია იმ კრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც





მინიჭებულია კომბინირებადი მიკროკრედიტების ფარგლებში, კურსის სწავლის შედეგების, შინაარსის და შეფასების მეთოდების მეშვეობით. (University of Lincoln, 2020)

ნიდერლანდების განათლების ინტერნაციონალიზაციის ორგანიზაციის NUFFIC მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში „The Rise and Recognition of Micro-credentials Stacking Modules and the Future of the Qualification“ განსაზღვრულია, რომ მიკროკრედიტები არ შეიძლება ავტომატურად კომბინირებულ იქნეს სრულ კვალიფიკაციად. ამ მიზეზით, მიკროკრედიტების კომბინირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია აღიარების თვალსაზრისით. (Dutch organisation for internationalisation in education (NUFFIC, 2022)

სახელმძღვანელოში განხილულია მიკროკრედიტების კომბინირების სხვადასხვა მაგალითი დღეისთვის არსებული კომბინირების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოსავლენად.

6.1 როგორ ხდება მოდულების „კომბინირება“

მიკროკრედიტები შეიძლება კომბინირდეს სხვადასხვა მიმართულებით: „ვერტიკალურად“, რათა დაშენდეს მიღწევის არსებულ დონეზე ან „ჰორიზონტალურად“ იგივე დონეზე ცოდნისა და უნარების გაფართოების მიზნით, ან „ღირებულების დამატების“ გზით არსებული კვალიფიკაციის პარალელურად სპეციფიური უნარების დამატებით. აღნიშნული განაპირობებს მიკროკრედიტების სხვადასხვა კომბინაციებს. მიკროკრედიტები ასევე შეიძლება კომბინირდეს უფრო ფართო კვალიფიკაციად ან მის ნაწილად. მსურველებს, რომლებიც აპირებენ თავიანთი მიკროკრედიტების კომბინირებას და მათ აღიარებას უმაღლეს სასწავლებლებში, შეიძლება შეექმნათ შემდეგი სახის დაბრკოლებები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რთულია აღიარონ სხვადასხვა შინაარსისა და სტრუქტურის მიკროკრედიტები. მაგალითად, რთულია კრედიტების ტრანსფერი კურსების სხვადასხვა პროვაიდერს შორის, თუ სწავლის ტიპი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და მხარეებს შორის შეთანხმებული. თუნდაც, ერთი და იგივე პროვაიდერის შემთხვევაში, შეიძლება გაუგებარი იყოს, რომელი მოდულები შეიძლება გაერთიანდეს უფრო ფართო კვალიფიკაციის შესაქმნელად.
- თუ მიკროკრედიტებით ბევრი განსხვავებული თემა დაფარული, შეიძლება არსებობდეს იმის რისკი, რომ მიკროკრედიტის ზოგიერთი მოდული არ იყოს სხვებთან კომბინირებადი.
- დაწესებულებებს ხშირად აქვთ რეგულაციები სხვა ინსტიტუციების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, ტრანსფერირებადი კრედიტებისთვის მაქსიმალური ზღვრის დაწესება ხშირად



უმთავრესი ბარიერია „პაჩვორკის³ კვალიფიკაციის“ კონცეფციისთვის, რომელიც შედგება სხვადასხვა პროვაიდერის კრედიტებისგან. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, ამჟამად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიკროკრედიტების კომბინირება სრულ კვალიფიკაციად იშვიათად ხდება.

- მიკროკრედიტების კომბინირების სხვა ინსტიტუციური ბარიერები შეიძლება მოიცავდეს შეზღუდვებს მულტი-პროვაიდერების მიერ გაცემული მიკროკრედიტების აღიარებისა და დროითი შეზღუდვების კუთხით, რომელიც გულისხმობს გარკვეული დროითი ლიმიტების დაწესებას მიკროკრედიტების მოპოვებიდან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვამდე (Dutch organisation for internationalisation in education, 2022).

7. მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა

იმის გამო, რომ არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული შეზრუდვა მიკროკრედიტების მოცულობასთან, თემატიკასთან, განხორციელების ფორმასთან და ტემპთან დაკავშირებით, მათდამი ნდობის ჩამოყალიბებისთვის და ფორმალური განათლების სივრცეში აღიარებისთვის არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის ევროკომისიის, ევროპის განათლების ფონდის და სხვადასხვა ქვეყნის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ.

მიკროკრედიტები მრავალთათვის ჯერ კიდევ სიახლეა, თუმცა მათ სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა მსოფლიოს უმაღლესი განათლების სექტორში და დასაქმების სივრცეში. რადგან იქმნება მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები, იზრდება მიკროკრედიტების აღიარების და დანერგვის მასშტაბები. მოსალოდნელია, რომ მცირე მოცულობის კვალიფიკაციების მნიშვნელობა სულ უფრო გაიზრდება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობისა და დასაქმების მიმართულებით.

მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ერთიანი ევროპული ხედვის ჩამოყალიბებისთვის განათლების საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდა სხვადასხვა საინფორმაციო და სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელებიც აღწერენ მიკროკრედიტების განვითარების სხვადასხვა ასპექტს. ეს ასპექტებია: მათი მოცულობა, ხარისხის უზრუნველყოფა, აღიარება და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირება. აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტები მიუთითებენ, რომ

³ პაჩვორკი - ხელსაქმის ნიმუში, რომელშიც სხვადასხვა დიზაინის, ფერის ან ტექსტურის პატარა ნაჭრების გაერთიანებით იქმნება ერთიანი ქსოვილი ან დეკორატიული დეტალი.



მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა შემდეგ მიზნებს ემსახურება:

- დაბალი ხარისხის მიკროკრედიტების პროგრამებისგან მსურველთა დაცვა;
- მიკროკრედიტების დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მიკროკრედიტების, მნიშვნელობის, ღირებულების და რეპუტაციის ამაღლება;
- მიკროკრედიტების მაკომბინირებელი ფუნქციისა და პორტატიულობის მხარდაჭერა.

მიკროკრედიტების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შეიძლება მოიცავდეს:

- სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებას;
- ჩარიცხულ პირთა მიღწევების გასაზომად შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას;
- პროგრამების რეგულარულად გადახედვასა და განახლებას;
- უკუკავშირის მიღებას ჩარიცხული პირებისა და დამსაქმებლებისგან.

გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს შეუძლიათ განახორციელონ უსდ - ებისა და მათი მიკროკრედიტების პროგრამების შეფასება. აღნიშნული პროცესი შეიძლება მოიცავდეს ადგილზე ვიზიტებს, დოკუმენტების განხილვას და ინტერვიუებს მიკროკრედიტების განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და ჩარიცხულ პირებთან.

მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ძირითადი ელემენტებია:

- **შესაბამისობა** – მიკროკრედიტები უნდა შეესაბამებოდეს ჩარიცხულ პირთა და დამსაქმებელთა საჭიროებებს.
- **მიზნობრიობა** – მიკროკრედიტი ისე უნდა იყოს შემუშავებული და მიწოდებული, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჩარიცხულ პირთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.
- **გამჭვირვალობა** – პროვაიდერი უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის გამჭვირვალობას მიკროკრედიტების შესახებ, მათ შორის სწავლის შედეგების, შეფასების კრიტერიუმებისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ჩათვლით.
- **აღიარება** – მიკროკრედიტი აღიარებული უნდა იყოს დამსაქმებლების და/ან სხვა პროვაიდერის/საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

რიგი ქვეყნები და ორგანიზაციები ავითარებენ გაიდლაინებსა და ჩარჩოებს მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, უმაღლეს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ქსელმა (ENQA) გამოაქვეყნა მოხსენება „მიკრო სერთიფიკატების ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომები“ (Cirilan, 2023). დოკუმენტი ზოგადად მიმოიხილავს მიკროკრედიტების მიმართულებით პოლიტიკის განვითარებას და წარმოადგენს ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობების, ინიციატივებისა და ანგარიშების შესახებ უმაღლესი განათლების

ევროპულ სივრცეში EHEA მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე. კერძოდ ესენია:

- **დაინტერესებული მხარეების ჩართვა** – ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში უნდა ჩაერთოს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, მათ შორის ჩარიცხული პირები, დამსაქმებლები და პროფესიული გაერთიანებები.
- **სხვადასხვა მეთოდის გამოყენება** – მიკროკრედიტების ხარისხის შესაფასებლად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სხვადასხვა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, მაგალითად, დოკუმენტების განხილვა, ადგილზე ვიზიტები, ინტერვიუები და ა.შ.
- **გამჭვირვალობის უზრუნველყოფა** – ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება ყველა დაინტერესებული მხარის წინაშე.
- **განვითარების უწყვეტობა** – ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესი უნდა იყოს და არა ერთჯერადი მოვლენა.

ზემოაღნიშნული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, უმაღლესი სასწავლებლები შეძლებენ უზრუნველყონ მათ მიერ განხორციელებული მიკროკრედიტების მაღალი ხარისხი და ჩარიცხულ პირთა და დამსაქმებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება.

მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე EHEA-ს მხოლოდ რიგ ქვეყნებშია ფორმალიზებული და, რა თქმა უნდა, მიდგომები მკვეთრად განსხვავებულია. შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფას დაექვემდებარონ როგორც უსდ-ები, ისე გარე პროვაიდერები. საინტერესოა, რომ აღიარებისა და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, შესაძლებელია აგრეთვე ამ უკანასკნელთა ერთგვარი სიმბიოზი, თანამშრომლობის ფორმალიზაცია და სასწავლო მოდულების/კომპონენტების ინტეგრირება. ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების განსახორციელებლად იკვეთება შესაძლო გზების მრავალფეროვნება. გარე ხარისხის კონტექსტში, უმეტესწილად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც მიკროკრედიტების თემა ინტეგრირებულია პროგრამული და/ან ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესში. ამგვარი მიდგომისას, ხარისხის უზრუნველყოფაზე უპირველესი პასუხიმგებლობა ეკისრება თავად დაწესებულებას, რომელიც თავის მხრივ სათანადო კონტროლის მექანიზმებს ითვალისწინებს არსებული პროგრამული შეფასებისას, ფართო გაგებით კი მესამე მისიისა⁴ და უწყვეტი განათლების ინდიკატორების დაფარვის კონტექსტში. გასათვალისწინებელია, რომ თითქმის არსად არ გვხვდება ცალკეული მიკროკრედიტის შეფასების სპეციფიური მექანიზმი, ხოლო ESG 2015 სტანდარტები და პრინციპები საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ დამკვიდრებულმა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებმა გაითვალისწინონ მათ შორის მიკროკრედიტების

⁴ უნივერსიტეტის მესამე მისია გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.



შეფასების სპეციფიკა, რა თქმა უნდა ეროვნული ინტერესების და ინდივიდუალური იურიდიული მოცემულობისა და სოციო-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით (Cirlan, 2023).

ირლანდიის უნივერსიტეტების ასოციაციის ანგარიშში მიმოხილულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება მიკროკრედიტების დანერგვისა და მათი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. მაგალითად, ირლანდიაში ხორციელდება მასშტაბური, ხუთწლიანი პროექტი MicroCreds18, რომელსაც ხელმძღვანელობს ირლანდიის უნივერსიტეტების ასოციაცია IUA შვიდ უნივერსიტეტთან პარტნიორობით. პროექტის მიზანია შექმნას ეროვნული ჩარჩო აკრედიტებული მიკროკრედიტებისთვის და „შეიმუშაოს, პრაქტიკულად დააკვირდეს და შეაფასოს ის კომპონენტები, რომლებიც საჭიროა მიკროკრედიტების მეშვეობით მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ტრანსფორმაციისთვის (Irish Universities Association (IUA), n.d.). ნიდერლანდებში 32 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 10 უნივერსიტეტი და 22 გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, მონაწილეობდა ეროვნულ პილოტირებაში, რომელიც მიკროკრედიტების განხორციელებისთვის ხარისხის ჩარჩოს შემუშავებაზე იყო ორიენტირებული.

ქვეყნების უმრავლესობაში მიკროკრედიტების ირგვლივ დისკუსია უფრო ფართო კონტექსტში მიმდინარეობს, კერძოდ, მთელი ცხოვრებისმანძილზე სწავლის სამომავლო განვითარების შესწავლის, მისი ხარისხს უზრუნველყოფისა და აღიარების ჭრილში. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობა ციფრული და მწვანე ტრანზისიის საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად აღიქმება. ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში, სისტემურ დონეზე არის შემუშავებული ინიციატივები და პროექტები, რომლებიც მიკროკრედიტებთანაა დაკავშირებული და ეროვნული დონეზე ფინანსდება შესაბამისი მექანიზმებით ეკონომიკის აღდგენის, მდგრადობისა და განვითარების გეგმების ფარგლებში. (Cirlan, 2023).

ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების მართვის ორგანოს მიერ შემუშავებულია მიკროკრედიტების დამტკიცებისა და აკრედიტაციის წესი, რომლის თანახმად, განმახორციელებელ ინსტიტუციებში მიკროკრედიტების შინაარსის დამტკიცებისთვის ინსტიტუციებმა უნდა დაადასტურონ შემდეგი 4 კრიტერიუმის დაცვა, ესენია: 1) მიკროკრედიტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელწოდება და მისი შესაბამისი სწავლის შედეგები. თუ სფეროში შემუშავებულია შესაბამისი სტანდარტი, მიკროკრედიტებშიც უნდა იყოს გათვალისწინებული. 2) საჭიროება და ხელმისაწვდომობა. უნდა არსებობდეს მიკროკრედიტის საჭიროების მტკიცებულება და მხარდაჭერილი უნდა იყოს შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისაგან. 3) მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ჩარიცხვის, კრედიტების აღიარებისა და ტრანსფერის, წინარე განათლების აღიარების, ხანგრძლივობისა და სტრუქტურის, შეფასების მეთოდებისა და დასრულების მოთხოვნები. 4) უნდა ხდებოდეს მიკროკრედიტების ღირებულებისა და შინაარსის რეგულარული შეფასება და მათი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად რეგულარულად განახლება უმნიშვნელოვანესი და უწყვეტი პროცესი უნდა იყოს.





დამტკიცებული მიკროკრედიტების განსახორციელებლად ახალი ზელანდიის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დააკმაყოფილონ აკრედიტაციის შემდეგი სტანდარტები.

- **განხორციელება** - განხორციელების ფორმები და მიდგომები შეესაბამება მიკროკრედიტში გაცხადებულ სწავლის შედეგებს და შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა ლოკაციასა და საჭიროებებს.
- **შეფასება** - ინსტიტუციას შეუძლია უზრუნველყოს შეფასებისა და მის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილებების სამართლიანობა, ვალიდურობა, თანმიმდევრულობა და სწავლის შედეგებში გაცხადებულ დონესთან შესაბამისობა. აღწერილი ინსტიტუციას დანერგილი აქვს ეფექტიანი სისტემა.
- **რესურსები** - ინსტიტუციას აქვს საკმარისი შესაძლებლობა და რესურსები მიკროკრედიტების განხორციელებისთვის, მათ შორის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების პერსონალი, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები.
- **გადახედვა** - ადეკვატურად უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს ინსტიტუციის მიერ მიკროკრედიტების განხორციელების პროცესი (მათ შორის სტუდენტების შედეგების გათვალისწინებით). (New Zealand Qualification Authority (NZQA), 2022)

8. მიკროკრედიტების დანერგვა უმაღლეს განათლებაში საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

8.1 ახალი ზელანდია

მიკროკრედიტები ახალი ზელანდიის განათლებისა და ტრენინგის სისტემის ნაწილია. ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების მმართველი ორგანო New Zealand Qualification Authority (NZQA) მიკროკრედიტებს განმარტავს, როგორც მცირე მოცულობის, ცალკე მდგომ ჯილდოებს/სერტიფიკატებს, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სწავლის შედეგები.

მიკროკრედიტები ადასტურებს ჩარიცხულ პირთა უნარებს, გამოცდილებას ან ცოდნას, და ამავე დროს აკმაყოფილებს დამსაქმებლების, ინდუსტრიის და საზოგადოებების მოთხოვნას.

მიკროკრედიტები ჩართულია ახალი ზელანდიის კვალიფიკაციისა და სერტიფიკატების ჩარჩოში (NZQCF). ახალი ზელანდიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აქვს 10 დონიანი





სტრუქტურა და სტანდარტული კვალიფიკაციების პარალელურად ჩარჩოს ყველა დონეზე შესაძლებელი მიკროკრედიტების მოპოვება. ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების სააგენტო საკუთარ ვებ-გვერდზე დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ქვეყანაში არსებული, დამტკიცებული მიკროკრედიტების რეესტრს. მასში მოცემულია მიკროკრედიტების დასახელება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე, რომელზეც ხორციელდება მიკროკრედიტი, მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა, პროვაიდერის დასახელება, დამტკიცების თარიღი და განახლების თარიღი. რეესტრში აგრეთვე მითითებულია თითოეული მიკროკრედიტის მიზანი და სწავლის შედეგები.

ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართული მიკროკრედიტები შეესაბამებიან შემდეგ სტანდარტებს:

- დასტურდება ცოდნისა და უნარებისა თანმიმდევრულად მიღწევა
- აკმაყოფილებს განსაზღვრულ საჭიროებას
- მოიცავს შეფასების კომპონენტს
- მიკროკრედიტის მოცულობა არის არაუმეტეს 40 კრედიტისა
- შეიძლება განხორციელდეს ახალი ზელანდიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NZQCF)-ის ნებისმიერ დონეზე
- მიკროკრედიტის ხარისხი უზრუნველყოფილია ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების მმართველი ორგანოს მიერ ან ახალი ზელანდიის უნივერსიტეტების მიერ;
- ახორციელებს ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების მმართველი ორგანოს მიერ აღიარებული პროვაიდერი; (New Zealand Qualification Authority (NZQA), 2023)

8.2 გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში მიკროკრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურებზე აღიარების პროცესი დანერგვის ფაზაშია. საგულისხმოა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების აღიარებისას. აღიარების პროცედურები და მოცულობა დამოკიდებულია შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვასა და გადაწყვეტილებაზე.

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტომ (QAA) გამოაქვეყნა უმაღლეს სასწავლებლებში მიკროკრედიტების აღიარების სახელმძღვანელო, რომელიც აყალიბებს გაერთიანებულ სამეფოში საორიენტაციო პრინციპებს, მიკროკრედიტების



მინიჭებისას და განსაზღვრავს მითითებებს სხვა ინსტიტუციების მიერ მიკროკრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით.

QAA სახელმძღვანელო ასევე ხაზს უსვამს უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. აღნიშნული მიუთითებს, რომ მიკროკრედიტების შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩარიცხულ პირთა და დამსაქმებელთა საჭიროებები, ხოლო მიკროკრედიტების კურსების შეფასება უნდა განხორციელდეს მკაფიო და გამჭვირვალე ინსტრუმენტებითა და სტანდარტებით.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვა აგრეთვე ემსახურება მათი მოცულობის ზედა და ქვედა ზღვრის განსაზღვრას. მიკროკრედიტების განხორციელებისას საკვანძო საკითხია სტუდენტთათვის სწავლის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზება, რომლის ფარგლებშიც შეძლებენ მიკროკრედიტების შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული მცირე მოცულობის პროგრამები ისწავლონ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დააგროვონ იმ რაოდენობის კრედიტები, რომელებიც შესაძლოა სრულ კვალიფიკაციას შეესაბამებოდეს.

მიკროკრედიტების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ კარგად იცნობს ქვეყანაში მოცემული საკითხის რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს. აღნიშნული პროგრამების დაფინანსების მოდელებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს და დამოკიდებული იყოს მის მოცულობაზე კრედიტებში ან სწავლის ხანგრძლივობაზე. იმდენად, რამდენადაც მიკროკრედიტებს მნიშვნელოვანი როლი აქვს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესში, შესაძლებელია ამ ტიპის კურსებს სტუდენტები პერიოდულად დაუბრუნდნენ ცხოვრების განმავლობაში. მიკროკრედიტები შესაძლებელია შეთავაზებულ იქნეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ყველა დონეზე.

უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტები შესაძლებელია იყოს დამატებითი, ალტერნატიული ან შემავსებელი კომპონენტი. მისი მნიშვნელობა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საქმეში მიუთითებს იმაზე, რომ მეტწილად მიკროკრედიტები ხორციელდება დასაქმების ადგილზე, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს სხვაგვარი შემთხვევებიც. (Quality Assurance Agency (QAA), 2022)

ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ უმაღლესი განათლების საფეხურისთვის მომზადებულ მიკროკრედიტების აღმწერ დოკუმენტში მითითებულია, რომ მიკროკრედიტები არის კვალიფიკაციის ჩარჩოების დონეების შესაბამისი კრედიტების მოცვა და ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული მექანიზმების გამოყენება. როგორც წესი, მიკროკრედიტები არ არის ასახული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებში, ასევე არ არის დაწესებული მიკროკრედიტების მოცულობაზე კრედიტების ზედა ან ქვედა ზღვარი.



წარმოდგენილი განსაზღვრება გულისხმობს მიკროკრედიტების მიმართულებით ინსტიტუციური ავტონომიის აღიარებას გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების სექტორში; ინოვაციისთვის საკმარისი მოქნილობის უზრუნველყოფას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოების რეპუტაციისა და ავტორიტეტის ნდობასა და დაცვას.

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული აქტივობები ცხადყოფს, რომ მიკროკრედიტების დანერგვა უფრო აქტუალური ხდება. 2021 წლის აგვისტოდან, უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვა დაიწყო ორმა ბრიტანულმა უნივერსიტეტმა - University of Huddersfield და Northumbria University, რომლებიც პირველები იყვნენ დიდი ბრიტანეთის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში მიკროკრედიტების აღიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიმართულებით.

2021 წლიდან დაგროვებული გამოცდილების თანახმად, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტები ინტეგრირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსებში ან ამ კურსებს მიღმა დამოუკიდებელი ფორმით არის წარმოდგენილი. ძირითადად, განმახორციელებლები ეყრდნობიან საგანმანათლებლო კურსებში ინტეგრირებულ შესაბამისი უნარების პროფილებს, რათა არსებული კურსებიდან გამოცალკევდეს კურსის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული უნარებისთვის განკუთვნილი საათები. არსებული გამოცდილება ხსნის მიკროკრედიტებისა და ბეიჯების გამოყენების პერსპექტივებს უნარებისთვის განსაზღვრული საათების მიხედვით. ამგვარი მიდგომა აქცენტს სვამს არამხოლოდ იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი უმაღლეს განათლებაში ბეიჯებისა და მიკროკრედიტების სისტემის ინტეგრირება, არამედ, იმაზეც, როგორ აუხსნას უფრო ცხადად ლექტორებს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს ამგვარი ფორმატით სწავლების კავშირი შემდგომ სამსახურეობრივ როლებთან.

უსდ-ები კურიკულუმის განვითარებისას ეყრდნობიან უნარებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უკეთ შეესაბამება უმაღლესი განათლების სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს როგორც „მსწავლელ-მომპოვებლებს“ (Learner-earner), ასევე დამსაქმებლებს, მაკრედიტებელ ორგანოებს და ა.შ. (Ward, 2021) ზემოაღნიშნული ხსნის ჰორიზონტებს უფრო მოქნილი და პერსონიფიცირებული სწავლებისა და ნანოკვალიფიკაციების მოპოვებისა და გამომუშავების მიდგომებისთვის როგორც უმაღლეს განათლებაში, ისე მის მიღმა. უნარებზე დაფუძნებული მიდგომა სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი აქცენტს სვამს შენატანზე, ანუ შესწავლილ უნარებზე მაშინ, როდესაც უნარებზე დაფუძნებული მიდგომა აქცენტს შედეგზე აკეთებს ანუ დასაქმების როლზე. დასაქმების როლის აღწერა იძლევა კომპეტენციის საზომს, თუ რაში უნდა გახდეს სტუდენტი დახელოვნებული.

ტრადიციულად, აკრედიტაციის პროცესი ემსახურება ინდუსტრიის შესაბამისი უნარების გამომუშავებისთვის საჭირო შინაარსის „თარგმნასა“ და ინტეგრირებას საგანმანათლებლო



პროგრამაში, მაგრამ დღეს არსებული მიდგომები სულ უფრო ცხადყოფს შეუსაბამობებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებსა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციებს შორის. აღნიშნულ შეუსაბამობათა აღმოფხვრის მიზნით შემუშავდა უნარებზე დაფუძნებული მიდგომის - 21 საუკუნის (C21) უნარების ტაქსონომია - მეშვეობით. აღნიშნული ტაქსონომია ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიკროკრედიტების ჩარჩოს მხარდასაჭერად, რომელიც შეესაბამება არსებული კომპეტენციების ჩარჩოებს და ხელს უწყობს ფორმალური, არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი სწავლების შედეგების აღიარებას.

უნარებზე დაფუძნებული მიდგომა აქტიურად გამოიყენება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. ინფორმაციული ერას უნარების ჩარჩო (Skills Framework for the Information Age (SFIA) არის უნარებისა და კომპეტენციების გლობალური ჩარჩო ციფრულ სამყაროში, რომელიც ათ ენაზე ითარგმნა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში არაერთი დამსაქმებელი იყენებს დასაქმებულთა კომპეტენციების შეფასებისა და განვითარებისთვის. SFIA გახდა გლობალურად მიღებული საერთო ენა ციფრულ სამყაროში უნარებისა და კომპეტენციების განსაზღვრისთვის. აღნიშნულ ჩარჩოში განსაზღვრულია კომპეტენციები მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებისთვის, მათ შორისაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ბიზნესის ცვლილებები; ციფრული ტრანსფორმაცია; მონაცემთა მეცნიერება და ანალიტიკა; პროგრამული ინჟინერია; ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება; ციფრული პროდუქტების განვითარება, გაყიდვები და მარკეტინგი; ადამიანური რესურსებისა და სამუშაო ძალის მართვა და ა.შ.

უსდები, რომლებიც აღნიშნულ მიდგომას იყენებენ მიკროკრედიტების ფარგლებში დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციების გამოკვეთისას, თანხმდებიან იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში ბლუმის ტაქსონომიით აღწერილი სწავლის შედეგები მეტწილად აბსტრაქტულია და აკლია კონკრეტიკა; მეტადაა ორიენტირებული შემეცნებაზე (შენატანზე), ვიდრე უნარებზე (შედეგზე, წარმადობაზე). შესაბამისად, ბრიტანული უნივერსიტეტების გამოცდილებით თავდაპირველად მოხდა შესაბამისი კურსების სწავლის შედეგებში უნარების იდენტიფიცირება, შემდგომ გაიმიჯნა დარგობრივი და ტრანსფერული უნარები და განისაზღვრა პროგრამებში ამ უნარების გამომუშავებისთვის საჭირო საათების ოდენობა. უნარებზე დაფუძნებული მიდგომის ინსტრუმენტად კი აღნიშნულმა დაწესებულებებმა გამოიყენეს SFIA მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შემუშავების საფუძვლები და ძირითადი პრინციპები დეტალურად აღწერილია სტატიაში „უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტებისა და ბეიჯების დანერგვისთვის უნარების პროფილების გამოყენება“⁵ (Ward, 2021)

⁵ Using Skills Profiling to Enable Badges and Micro-Credentials to be Incorporated into Higher Education Courses https://www.researchgate.net/publication/371020068_Using_Skills_Profiling_to_Enable_Badges_and_Micro-Credentials_to_be_Incorporated_into_Higher_Education_Courses



გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების სისტემაში რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უკვე აქვს მიკროკრედიტების განხორციელებისა და უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარების გამოცდილება, კერძოდ, ესენია The University of Huddersfield და Northumbria University. დაწესებულებები სტუდენტებს სთავაზობენ LinkedIn Learning-ის პლატფორმაზე გავლილი მიკროკრედიტების უმაღლესი განათლების პროგრამის ფარგლებში აღიარებას, წინარე განათლების (მიკროკრედიტების კურსების) აკრედიტაციის გზით.

The Open University სტუდენტებს სთავაზობს მიკროკრედიტებს, რომელთა კომბინირებითაც შესაძლებელი იქნება უფრო ფართო კვალიფიკაციაზე გასვლა.

The Chartered Management Institute (CMI) დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვანი შინაარსის მიკროკრედიტებს, რომლებიც აღიარებულია დასაქმებულების და სხვა პროფესიული დაწესებულებების მიერ.

რაც შეეხება სწავლის სფეროებს, რომლებშიც ბრიტანული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების The Open University სტუდენტებს მიკროკრედიტების ფორმატით სწავლებას სთავაზობენ, - ესენია: ლიდერობა და მენეჯმენტი, კომპიუტინგი და ციფრული ტექნოლოგიები; გარემო, კლიმატის ცვლილება და მდგრადობა; მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ინკლუზიური განათლება; ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა. დაწესებულებას ზემოაღნიშნული სწავლის სფეროების შესაბამისი პროგრამებისთვის ვებ-გვერდზე მითითებული აქვს იმ კურსების ჩამონათვალი, რომელთა გავლაც მიკროკრედიტების ფორმატით არის შესაძლებელი, კვირაში 10-13 საათიანი დატვირთვითა და 12-13 კვირის ხანგრძლივობით და რომელთა აღიარებაც შესაძლებელია ზემოაღნიშნულ სფეროებში ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის (Open University, 2023).

8.3 ირლანდია

ირლანდიური უნივერსიტეტების ნაწილი მიკროკრედიტებს ახორციელებს, როგორც მცირე მოცულობის აკრედიტებულ კურსებს, რომლებიც პასუხობენ მსწავლელთა, ორგანიზაციებისა და საწარმოების ინტერესებს. აღნიშნული მიკროკრედიტ-კურსები შემუშავებულია ირლანდიის უნივერსიტეტების ასოციაციის (Irish Universities Association (IUA)) პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ, შესაბამის საწარმოებთან პროექტის „MicroCreds“ ფარგლებში კონსულტაციების გავლის შედეგად. მიკროკრედიტები სთავაზობენ სწავლის ძალიან მოქნილ, კომპაქტურ და ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა სფეროში გადაკვალიფიცირებისთვის. აგრეთვე, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების ცენტრების ბაზაზე სტუდენტებს უწევენ კონსულტაციას, თუ რომელი მიკროკრედიტ-კურსები უნდა აირჩიონ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადაკვალიფიცირებისთვის.



ირლანდიის უსდ-ების ნაწილი სტუდენტებს/ჩარიცხულ პირებს სთავაზობს, მრავალფეროვან, კვლევაზე დაფუძნებულ და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გავლის შედეგად შემუშავებულ მიკროკრედიტებს, რომელთა დატვირთვაც გაანგარიშებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ECTS-ის მიხედვით და შესაძლებელია აღიარებულ იქნეს ირლანდიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7-დან - მე-9 დონემდე. სტუდენტებს შეუძლიათ აიღონ ცალკეული მიკროკრედიტ კურსები ან გააგრძელონ სწავლა, დროთა განმავლობაში გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა და უნარები. დროთა განმავლობაში, ზოგიერთი მიკროკრედიტ-პროგრამების სტუდენტებს შესთავაზებენ გზებს, რაც მათ საშუალებას მისცემს მიკროკრედიტების გაერთიანებით უფრო დიდი მოცულობის კვალიფიკაცია/სერტიფიკატი ან ჯილდო მოიპოვონ. (University of Galway, n.d.)

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ დიდ ბრიტანეთში უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების აღიარება ჯერ კიდევ იწერება. თუმცა, სულ უფრო იზრდება მიკროკრედიტების მნიშვნელობის აღიარება და იკვეთება მათი მიღების/აღიარების მკაფიო ტენდენცია დამსაქმებლებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ.

8.4 ესტონეთი

ესტონეთის უმაღლესი განათლების სისტემაშიც დაწყებულია მიკროკრედიტების დანერგვის პროცესი. ესტონეთში მიკროკრედიტების განხორციელება შეუძლიათ როგორც ფორმალური განათლების პროვაიდერებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე კერძო კომპანიებსა და საჯარო ორგანიზაციებს.

ესტონეთის განათლების სამინისტრომ დაიწყო რეგულირების პროცესი ზრდასრულთა განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, რათა განისაზღვროს მიკროკრედიტ-კურსების სწავლის შინაარსი, განხორციელების გზები, ხარისხი და ხანგრძლივობა. მიკროკრედიტები, როგორც მოკლე სასწავლო გამოცდილების შეძენისა და აღიარების შესაძლებლობა, აგრეთვე გათვალისწინებულია ესტონეთის 2035 წლის განათლების სტრატეგიაში.

ესტონეთმა ასევე დაიწყო ტრენინგ-კრედიტის პროგრამა კერძო კომპანიებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობით. აღნიშნული წარმოადგენს სამსახურებრივი ტრენინგის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც კომპანიები მხარს უჭერენ თავიანთი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას და მომავალში შესაძლებელია კრედიტების გაერთიანება მიკროკვალიფიკაციის ფორმირებისთვის. ტრენინგის პროვაიდერებისა და მომხმარებლების სპექტრი შეზღუდულია, მაგრამ მისი მიზნებიდან



გამომდინარე, ის მიკროკრედიტის სისტემის კარგი მაგალითია. მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო Estonian Quality Agency for Education (HAKA) ყოფილი EKKA.

იმ შემთხვევაში, თუ არაფორმალური განათლების პროვაიდერებს სურთ მიკროკრედიტების განხორციელება, მათ უნდა გაიარონ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის ხარისხის შეფასების პროცედურა, რომელიც შეესაბამება ESG -ს პრინციპებს. არაფორმალურმა პროვაიდერებმა გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა უნდა გაიარონ რეგულარულად, სულ მცირე, ხუთ წელიწადში ერთხელ.

საგულისხმოა რომ 2018 წლიდან დღემდე სააგენტომ უწყვეტი განათლების 100-ზე მეტი არაფორმალური პროვაიდერს გარე ხარისხის უზრუნველყოფა განახორციელა.

უმაღლესი განათლების საფეხურზე დაწესებულებებს შეუძლიათ მიკროკრედიტების განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ მათ ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცედურებით მოპოვებული აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება იმავე სასწავლო პროგრამის ჯგუფში/ფეროში. (Estonian Quality Agency for Education (HAKA former EKKA) n.d.).

პროვაიდერმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიკროკრედიტების პროგრამა უნდა დაარეგისტრირონ ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემაში (Estonian Education System), რომლის ფარგლებშიც წინასწარ შემოწმდება აღნიშნული პროგრამების ფორმალური შესაბამისობა განსაზღვრულ მოთხოვნებთან. (Estonian Quality Agency for Education HAKA (former EKKA), n.d.)

მაგალითად, ტარტუს უნივერსიტეტი ზრდასრულთათვის ახორციელებს მიკროკრედიტ პროგრამებს და მათ განმარტავს, როგორც უფრო ხანგრძლივ და ყოვლისმომცველ უწყვეტი განათლების პროგრამას, რომელიც დაფუძნებულია საკვალიფიკაციო-სასწავლო კურსებზე. პროგრამა ჩარიცხულ პირებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ დამატებით სპეციალობას ან შეიძინონ კონკრეტული კომპეტენციები ვიწრო სფეროში.

ტარტუს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მიკროკრედიტ პროგრამების მოცულობა ECTS კრედიტებში 12-დან 30-მდე მერყეობს. პროგრამის მოცულობა იმგვარადაა განსაზღვრული, რომ ზრდასრული პირის საჭიროებებს მოერგოს და მისი დასრულება ერთი ან ორი სემესტრის მანძილზე იყოს შესაძლებელი. პროგრამები ფასიანია. მიკროკრედიტები იმგვარადაა შემუშავებული, რომ ჩარიცხულ პირს შეუძლიათ, სურვილისამებრ, სწავლა გააგრძელონ საკვალიფიკაციო პროგრამებზე და მიიღონ აკადემიური კვალიფიკაცია. პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეები იღებენ ტარტუს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების სერტიფიკატს.





მიკროკრედიტ პროგრამებზე ჩარიცხვა შეუძლიათ არანაკლებ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს, თუმცა პროგრამებს შესაძლებელია განსაზღვრული ჰქონდეთ ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობები. (University of Tartu, n.d.)

ტალინის უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს მიკროკრედიტ-პროგრამებს, რომელთა უმთავრესი მიზანია პროაქტიული რეაგირება შრომის ბაზრის საჭიროებებზე. მიკროკრედიტ-პროგრამა არის უწყვეტი განათლების პროგრამა, მრავალფეროვანი შინაარსით, რომელიც ეფუძნება ერთ ან მეტ კურსს საკვალიფიკაციო პროგრამიდან და კომბინირდება სხვა მიკროკრედიტ კურსებთან, ან ინტეგრირდება ფორმალური განათლების საგანმანათლებლო კურსებში უფრო ფართო კვალიფიკაციის მიზნებისთვის. მიკროკრედიტ-პროგრამა ასევე შესაძლებელია არსებობდეს დამოუკიდებლად, უწყვეტი განათლების პროგრამის ფორმით. როგორც წესი, ტალინის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მიკროკრედიტ-პროგრამები 1-3 სემესტრის ხანგრძლივობისაა და მათი მოცულობა კრედიტებში მერყეობს 6-დან-30 კრედიტამდე. მიკროკრედიტ - პროგრამები ფასიანია და პროგრამაზე ჩარიცხვისთვის განსაზღვრული მოთხოვნები როგორც წესი, ეფუძნება მიკროკრედიტ - პროგრამის დონეს ესტონეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით. პროგრამის განმახორციელებელს ასევე უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები (მაგ. სამუშაო გამოცდილება, ენის ცოდნა და ა.შ.).

მიკროკრედიტების წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება უწყვეტი განათლების სერტიფიკატი. სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა დადებითი შედეგი მიკროკრედიტის ყველა მოდულში.

მიკროკრედიტები შეიძლება ჩაითვალოს/აღიარებულ იქნეს საკვალიფიკაციო პროგრამის ფარგლებში, თუ მიკროკრედიტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. (Tallin University n.d.)

ტალინის უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს შეთავაზებულ 58 მიკროკრედიტ-პროგრამაზე ჩარიცხვა 493, ხოლო 2023 წლის გაზაფხულზე - 398. 2023 წლის შემოდგომისთვის შეთავაზებულია 70 მიკრო-კრედიტ პროგრამა. (Reinman & Mannik, 2023)

9. ეროვნულ დონეზე არსებული გამოცდილება უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით



აღსანიშნავია, რომ საქართველოში, უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის თაობაზე მუშაობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2020 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან ცენტრი ჩართული იყო ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის (BICG) ხარისხის განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG C on QA) პროექტში - “MICROBOL - credentials linked to the Bologna Key Commitments”. პროექტი განხორციელდა ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი ვალდებულებების ჭრილში უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას. MICROBOL-ის პროექტმა გააერთიანა ევროპის ქვეყნების განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები და დაინტერესებული მხარეები Bologna Follow-up Group-ში, რათა განეხილათ თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ან, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირებული ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ინსტრუმენტები მცირეკრედიტიანი პროგრამებისათვის. MICROBOL-ის პროექტის ფარგლებში უკვე ჩამოყალიბდა მიკროკრედიტების ტერმინთა განმარტება, მიკროკრედიტების აღიარების და ხარისხის უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები. გარდა ამისა, მომზადდა ეროვნულ დონეზე მიკროკრედიტების არსებული გამოცდილების ანალიზი. MICROBOL-ის პროექტის რეკომენდაცია, რომელიც მიუთითებს, რომ ეროვნულმა მთავრობებმა უნდა დაადგინონ, საჭიროა თუ არა საკანონმდებლო ცვლილებები, დაგეგმონ შესაბამისი ცვლილებები, ითანამშრომლონ სხვა ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, წახალისონ მიკროკრედიტების განვითარება და გაითვალისწინონ საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური ავტონომიურობა მრავალფეროვანი მიკროკრედიტ-კურსების შესაქმნელად.

მიკროკრედიტებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და მათი ეფექტურად დანერგვის მხარდაჭერის მიმართულებით მუშაობა ბოლონიის თემატური სამუშაო ჯგუფების ფარგლებში გაგრძელდა. 2022 წლიდან ცენტრი ასევე ჩართულია მიკროკრედიტების (Micro-credentials) ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომელიც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) პარტნიორობით განხორციელებული პროექტის - „დანერგვა და ინოვაცია ხარისხის უზრუნველყოფაში ურთიერთსწავლების გზით“ (IMINQA)“ - ფარგლებში დაიწყო. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო შემდეგი დამხმარე დოკუმენტების მომზადება: სამაგიდო კვლევა; შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; გარე ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; და ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება უმაღლესი სასწავლებლის მიღმა არსებულ სხვა პროვაიდერებს მიკროკრედიტების ეფექტურად განვითარებისა და მათი ფორმალიზების საკითხებში.

2022 წლის 20 მაისს, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის მიზანი იყო ფონდის მიერ შემუშავებული მიკროკრედიტების კონცეპტუალური ჩარჩოს გაზიარება და მიკროკრედიტების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს მიკროკრედიტების აღიარების და ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტებს.



საერთაშორისო ორგანიზაციების ევროპის განათლების ფონდის (ETF) დაკვეთით ცოდნის ინოვაციების ცენტრმა (KIC) მოამზადა გზამკვლევი მიკროკრედიტების დიზაინის, შექმნისა და აღიარების შესახებ. ეს გზამკვლევი მიზნად ისახავს დააჩქაროს ETF-ის პარტნიორი ქვეყნების შიგნით სასწავლო სისტემების მოქნილობა.

გზამკვლევი მომზადებულია ETF-ის კვალიფიკაციების სისტემების თემატური მხარდაჭერის ფარგლებში ETF პარტნიორი ქვეყნების მიერ, მათ შორის აღნიშნულ დოკუმენტში განხილულია მიკროკრედიტების მიმართულებით საქართველოს გამოცდილებაც.

ეროვნული კვალიფიკაციების თემატურის სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) დღის წესრიგში 2020 წლიდან აქტიურად დგას მიკროკრედიტების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. საგულისხმოა, რომ საქართველო 2021 წლიდან არის აღნიშნული სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყანა.

9.1. ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები

დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებისა და ბოლონის ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ცენტრმა განახორციელა რიგი აქტივობები, რომლებიც უკავშირდება მცირეკრედიტიანი პროგრამების დანერგვას და მათი სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, 2021 წელს ცენტრმა განახორციელა მოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მიკროკრედიტების დანერგვასთან დაკავშირებით მიზნობრივი აუდიტორიის კოლექტიური მოლოდინებისა და განწყობის შეფასებას, ასევე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობამ საჭიროდ მიიჩნია მიკროკრედიტების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, პროგრამის მოცულობის გასაზომად უპირატესობა მიანიჭა ECTS კრედიტების გამოყენებას (ნაცვლად საათებისა) და ამ პროცესში მნიშვნელოვნად ჩათვალა ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება, გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა კი დააფიქსირა მცირეკრედიტიანი პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ასახვის აუცილებლობა. ამ ეტაპზე მსგავს პროგრამებს ახორციელებს გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (15%), თუმცა უმრავლესობას (93%) აქვს მოლოდინი, რომ მომავალში მიკროკრედიტებზე მოთხოვნა გაიზრდება (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2021).

რაც შეეხება მიკროკრედიტების ფორმალიზებას, გამოკითხულმა დაწესებულებებმა გამოკვეთეს შემდეგი გამოწვევები:

- შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა;
- გამოცდილების არარსებობა;





- დამსაქმებელთა ნაკლები ჩართულობა/დასაქმების ბაზრის დაბალი მოთხოვნა;
- საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე;
- არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარების შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფორმალური განათლების სივრცეში მიკროკრედიტების განვითარების გამოცდილება საქართველოში უკვე არსებობს. 2019 წლიდან პროფესიული განათლების ფარგლებში ხორციელდება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომლებიც მთელ ცხოვრების მანძილზე სწავლის შესანიშნავი საშუალებაა და შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მიკროკრედიტები პროფესიულ განვითარებაში. აღნიშნულ პროგრამები დაინტერესებულ პირებს ეხმარება მოკლე დროში დაეუფლონ ახალ პროფესიას ან აიმაღლონ კვალიფიკაცია არსებული პროფესიის ფარგლებში და გავიდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობა სისტემურ დონეზე არ არის განსაზღვრული, თუმცა გავრცელებული პრაქტიკით მათი საშუალო ხანგრძლივობა მერყეობს ერთიდან — ექვს თვემდე. მომზადება-გადამზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ საბაზო განათლების ფლობა, მინიმალური ასაკი განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხოლო მაქსიმალური ასაკი შეზღუდული არ არის. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებულზე გაიცემა სახელწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (ხორციელდება პროგრამების ავტორიზაცია), და ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 2,3,4,5 დონეებზე.

10. რეკომენდაციები საქართველოს უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების ოპტიმალური სისტემის დანერგვისთვის

უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ გამოცდილებები რიგ შემთხვევებში დიამეტრულად განსხვავდება ერთმენეთისაგან; თუ ერთი მხრივ, ქვეყნების გარკვეული ნაწილში მაღალია ნდობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი და მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფას სრულად განმახორციელებელ დაწესებულებებს მიანდობენ, მეორე მხრივ არსებობენ ქვეყნები, რომლებშიც მიკროკრედიტები ხარისხის გარე უზრუნველყოფას ექვემდებარება განათლების ყველა საფეხურზე.



იმის გამო, რომ საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები შედარებით გვიან შეიქმნა (კომპეტენციის დადასტურება პროფესიული განათლების ქვესისტემაში და ექსტერნატი-ზოგადი განათლების ქვესისტემაში) და უმაღლესი განათლების საფეხურზე მსგავსი გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობს. მიზანშეწონილია პირველ ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყოს მიკროკრედიტების დანერგვის პილოტირება, როგორც ეს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მოხდა. ხოლო შემდგომ, არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვებითა და გამოწვევების იდენტიფიცირებით შესაძლებელი გახდება მიკროკრედიტების ფართომასშტაბიანი დანერგვა უმაღლესი განათლების სისტემაში.

პროცესის პილოტირება და გარკვეული გამოცდილების დაგროვება ხელს შეუწყობს მიკროკრედიტების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ახალი ზელანდიის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მიკროკრედიტების გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობას.

კრედიტების მოცულობის დიაპაზონი ქვეყნების მიხედვით მერყეობს, ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებულია მხოლოდ ზედა ზღვარი, რომელიც რიგ შემთხვევებში 40-45 კრედიტს უტოლდება. თუმცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმისთვის რომ მიკროკრედიტ-პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი სწავლის შედეგები და შესაბამისი რელევანური მექანიზმებით შესაძლებელი იყოს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა და შეფასება, მიზანშეწონილია მიკროკრედიტების მინიმალური მოცულობა განისაზღვროს არანაკლებ 1 ECTS კრედიტის, ხოლო მაქსიმალური - არაუმეტეს 30 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელიც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების თანახმად არის ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვის ნახევარი.

გარდა, ამისა, მიზანშეწონილია, პირველ ეტაპზე, განისაზღვროს სწავლის სფეროთა ის სპექტრი რომლებშიც საპილოტე რეჟიმში განხორციელდება მიკროკრედიტიანი პროგრამები და რომელთა აღიარებაც შესაძლებელი იქნება ფორმალური უმაღლესი განათლების კონკრეტულ საფეხურზე. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში სადაც პილოტირების რეჟიმში დაიწყო მიკროკრედიტების დანერგვა უმაღლესი განათლების სისტემაში, პირველ ეტაპზე დაინერგა ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) (პროგრამირება, კიბერუსაფრთხოება, ღრუბლოვანი კომპიუტინგი, ციფრული ტრანსფორმაცია და ა.შ.); ბიზნესისა და მენეჯმენტის (ბიზნესის ადმინისტრირება, პროექტების მართვა, მარკეტინგი და ა.შ.) მიმართულებით.



აგრეთვე, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, იმისთვის, რომ მიკროკრედიტების შემუშავება და განხორციელება ემსახურებოდეს სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა მომზადებას და ამასთანავე მიკროკრედიტ-პროგრამები შემუშავებას არ ჰქონდეს სტიქიური ხასიათი, მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტულ სფეროში მიკროკრედიტების შემუშავების, განხორციელებისა და მიკროკრედიტებზე დაშვების წინაპირობები.

საქართველოშიც, ისევე როგორც ევროპის არაერთ ქვეყანაში რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების მსურველს ჰქონდეს არანაკლებ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ეკვივალენტი. განმახორციელებელ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მიკროკრედიტ-პროგრამაზე ჩარიცხვისთვის კანონდებლობით განსაზღვრულზე უფრო მაღალი ან სხვა დამატებითი მოთხოვნებიც განსაზღვროს.

იმისათვის, რომ მიკროკრედიტები გამოყენებულ იქნეს უსდ-ებსა და დასაქმების ბაზრის აქტორებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, აუცილებელია მისი განხორციელების უფლების მოპოვებისთვის დაწესებულებამ შესაბამის დამსაქმებელთან თანამშრომლობით წარმოადგინოს არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ არის საჭირო მიკროკრედიტ-პროგრამის შემუშავება და განხორციელება, კონკრეტულ სწავლის სფეროში. აღნიშნული დასაბუთება მიზანშეწონილია გამყარებული იყოს ჩატარებული ბაზრის კვლევიტა და სფეროში მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებით. აღნიშნული გადაწყვეტის ეფექტიანობა დასტურდება ახალი ზელანდიის გამოცდილებით, უსდ-ს პარტნიორობა დამსაქმებლებთან და შემუშავებულ მიკროკრედიტ-პროგრამაში დამსაქმებლის მოთხოვნების გათვალისწინება მსურველთა დაინტერესებისა და პროგრამის მდგრადობის გარანტიაა.

11. რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისა და განხორციელების სამართლებრივი მოწესრიგებისთვის

ეროვნულ კანონმდებლობაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მიკროკრედიტის ცნება, მისი განმახორციელებელი სუბიექტები, ასევე მიკროკრედიტის აღიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

არსებობს მიკროკრედიტის სისტემის დანერგვის ორი შესაძლებლობა: ა) განმახორციელებელი იყოს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ბ) განმახორციელებელი იყოს



როგორც უსდ, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირი (შემდგომ - გარე პროვაიდერი). ასევე, მიკროკრედიტის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს ცენტრალურ დონეზე (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ან ინსტიტუციის დონეზე (უშუალოდ განმახორციელებელი უსდს მიერ)⁶.

ამასთან, ზემოაღნიშნული ალტერნატივებიდან შესაბამისი ალტერნატივის შერჩევის შემდგომ, შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს შემდგომი რეგულაციები. წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ორივე ალტერნატივის შემთხვევაში შემდგომი საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებები.

11.1 მიკროკრედიტის ცნებისა და განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრა

მიკროკრედიტის განმახორციელებლად, კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლოა განისაზღვროს როგორც უსდ, ასევე გარე პროვაიდერი. ამ მიზნით, ცვლილება უნდა შევიდეს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში.⁷ ამასთან, მიკროკრედიტის ცნების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში,⁸ ასევე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში.⁹ ამასთან, მიკროკრედიტის ცნების განსაზღვრისას, რეკომენდებულია განისაზღვროს მიკროკრედიტის მინიმალური და მაქსიმალური მოცულობა (შემოთავაზებული მოცულობა: მინ. 1 კრედიტი, მაქს. 30 კრედიტი),¹⁰ დაშვების წინაპირობა და მისი როლი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

⁶ აღიარების საკითხებთან დაკავშირებით დეტალური მოწესრიგებები იხ. მე-4 თავში.

⁷ შესაძლებელია ასევე ცვლილება შევიდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. თუმცა, აღნიშნული არ ატარებს სავალდებულო დატვირთვას, რადგანაც განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრა და მიკროკრედიტის ცნების განსაზღვრა მოხდება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო მიკროკრედიტის ცნების განსაზღვრა ასევე მოხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“. აღნიშნული აქტების სისტემური განმარტებით დადგინდება რომ, უსდ უფლებამოსილია განახორციელოს მიკროკრედიტის მიმნიჭებელი კომპონენტი.

⁸ აღნიშნული აქტი, თავისი რეგულირების სფეროს შესაბამისად, ეხება მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

⁹ აღნიშნული აქტი, თავისი ბუნებით აწესრიგებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

¹⁰ მიკროკრედიტის მინიმალური და მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრა რეკომენდებულია განმახორციელებლის მიერ მისი შემდგომი გაანგარიშების მოქნილობისათვის. ამასთან, მართალია ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობით (მაგ. ახალი ზელანდია) დადგენილი მიკროკრედიტის უფრო მაღალი ზედა ზღვარი (40



11.2 ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმად შესაძლებელია შემოთავაზებული იქნეს:

ა) მიკროკრედიტის აკრედიტაცია

მიკროკრედიტის სისტემის დანერგვისას, აკრედიტაციის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის დანერგვის შემთხვევაში, ცვლილებები უნდა შევიდეს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. იმის გათვალისწინებით რომ, მიკროკრედიტი არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით,¹¹ ცვლილები შესაძლოა შეეხოს ასევე შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.

რამდენადაც, მიკროკრედიტის განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმად მოიაზრება აკრედიტაცია, შესაძლებელია მიკროკრედიტის აკრედიტაცია როგორც არსებული აკრედიტაციის სტანდარტებით,¹² ასევე ახალი, ადაპტირებული, აკრედიტაციის სტანდარტების დამტკიცება. პირველ შემთხვევაში (მიკროკრედიტზე არსებული აკრედიტაციის სტანდარტების გავრცელება) ცვლილება უნდა შევიდეს არსებულ სამართლებრივ აქტში,¹³ ხოლო მეორე შემთხვევაში, „ადაპტირებული“ სტანდარტები შესაძლოა დამტკიცდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტით (მაგ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით), ან არსებულ სამართლებრივ აქტში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით.

კრედიტი), თუმცა, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, საშუალო სემესტრული დატვირთვა შეადგენს 30 კრედიტს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით დააგარიშების წესი“), რეკომენდებულია მიკროკრედიტის მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატებოდეს 30 კრედიტს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ის გარემოება რომ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მეორე დანართით განსაზღვრული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დამატებითი პროგრამის მინიმალური მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს და არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. მიკროკრედიტი კი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს დამატებით პროგრამას.

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამად კვალიფიცირებისათვის, პროგრამა უნდა გადიოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ ერთ-ერთ დონეზე.

¹² იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება.

¹³ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება.

მიკროკრედიტის აკრედიტაციის პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს მიკროკრედიტის განმახორციელებელი ორივე სუბიექტის (როგორც უსდ-ს, ასევე გარე პროვაიდერის) მიმართ.

ზემოაღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის დანერგვის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს ავტორიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,¹⁴ „ავტორიზაციის გავლა არ ესაჭიროება სუბიექტს, რომელიც ახორციელებს ისეთ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც არ არის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი; რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ უკავშირდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო პროგრამას და აქვს დამოუკიდებელი სწავლის შედეგი“. გამომდინარე იქედან რომ, საკანონმდებლო დონეზე კეთდება დაშვება რომ მიკროკრედიტის განმახორციელებელი სუბიექტი შესაძლოა იყოს გარე პროვაიდერი, რომელსაც არ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (შესაბამისად არ აქვს გავლილი ავტორიზაცია), ხოლო მიკროკრედიტები, თავისი არსით, სულ მცირე, ირიბად უკავშირდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო პროგრამას და აქვს დამოუკიდებელი სწავლის შედეგი, საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი სახით - „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში გაჩნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მიკროკრედიტის განმახორციელებელი სუბიექტი არ დაექვემდებარება ავტორიზაციას, მის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელების მიუხედავად, რომელიც არ ჯდება მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლისებში. - კანონში აღნიშნული ფორმულირების დამატებით, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში გაჩნდება კიდევ ერთი გამონაკლისი, რა დროსაც სუბიექტი არ დაექვემდებარება ავტორიზაციას;

¹⁴ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ავტორიზაციას არ ექვემდებარება:

ა) სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ისეთ საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა.ა) რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

ა.ბ) რომელიც არ არის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი;

ა.გ) რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ უკავშირდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო პროგრამას და აქვს დამოუკიდებელი სწავლის შედეგი;

ა.დ) რომელიც არ მთავრდება კვალიფიკაციის მინიჭებით;

ბ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საქმიანობა, მათ შორის, პროფესიული მომზადების სფეროში.



ბ) მიკროკრედიტის განმახორციელებელი/ამლიარებელი უსდ-ს მიერ მიკროკრედიტის განხორციელების ან/და აღიარების მექანიზმის (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის) შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში.

მიკროკრედიტის განმახორციელებელი უსდ-ს მიერ მიკროკრედიტის განხორციელების ან/და აღიარების მექანიზმის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში შესაძლებელია წარმოადგენდეს მიკროკრედიტის დანერგვის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს. ამასთან, აღნიშნული მექანიზმის დანერგვა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიკროკრედიტის განმახორციელებელი არის უსდ - ამ შემთხვევაში, მიკროკრედიტის განხორციელებისა და აღიარების მექანიზმი¹⁵ შეფასდება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში განხორციელდება. ამასთან, მიზანშეწონილია მიკროკრედიტი განხორციელდეს უსდ-ს მიერ აკრედიტირებული პროგრამის ფარგლებში.¹⁶

ამ პროცესის მიზნებისათვის, რეკომენდებულია მიკროკრედიტების ასახვა განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების პირველი დანართის სახით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში,¹⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს მიკროკრედიტის დანერგვას და ერთგვაროვანი პრაქტიკის განსაზღვრას მისი განხორციელების ეტაპზე.

მიკროკრედიტის დანერგვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ, განახლებული მოწესრიგების (მიკროკრედიტის განხორციელების ან/და აღიარების მექანიზმის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში) უკვე ავტორიზირებულ უსდ-ებზე გავრცელების (ან ასეთი უსდ-ებისათვის რეავტორიზაციამდე ალტერნატიული ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის განსაზღვრის) მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი სამართლებრივი მოწესრიგებების განსაზღვრა.

¹⁵ შესაძლებელია უსდ იყოს მიკროკრედიტის განმახორციელებელი, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს უსდ-ში მიკროკრედიტის აღიარების მექანიზმის არსებობის საჭიროებას (მაგ. □ხვა უსდ-ს/გარ პროვაიდერის მიკროკრედიტის აღიარების შემთხვევისათვის).

¹⁶ მაგ. აკრედიტირებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ბაზაზე შემუშავდა საბუღალტრო აღრიცხვის საკითხების მომკველი მიკროკრედიტი, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს და ეფუძნება აკრედიტირებულ პროგრამას.

¹⁷ აღნიშნული პრაქტიკა აქვს ახალ ზელანდიას.

ბ) მიკროკრედიტის განმახორციელებელი არის გარე პროვაიდერი - მიკროკრედიტის ამღიარებელი უსდ-ს მიერ მიკროკრედიტის აღიარების მექანიზმი (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი) ფასდება უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში. ამ პროცესში შესაძლებელია სავალდებულო წესით მოთხოვნილ იქნეს უსდ-სა და გარე პროვაიდერს შორის ხელშეკრულების დადება.¹⁸ შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში. ხარისხის გარე უზრუნველყოფის ამ მექანიზმის ფარგლებში, გარე პროვაიდერი ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესს დამოუკიდებლად არ გადის. ამასთან, ამ პროცესის ნაკლოვანებად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მიკროკრედიტის აღიარების მოქნილობის შეზღუდვა.

11.3 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი

მიკროკრედიტის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის არსებობა, ხელს შეუწყობს განმახორციელებლების მიერ მიკროკრედიტის დანერგვის პროცესს. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის¹⁹ საკანონმდებლო დონეზე ასახვის მიზნით, ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში.

11.4 მიკროკრედიტის აღიარება

მიკროკრედიტის ეფექტიანი განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია აღიარების მექანიზმის არსებობა. მიკროკრედიტის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ დონეებზე:

ა) **ცენტრალურ დონეზე** - მიკროკრედიტის მის აღიარებას მოახდენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ეროვნულ კანონმდებლობაში მსგავსი სისტემის ანალოგი არსებობს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/ საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების კონტექსტში. ამ შემთხვევებში, ცვლილება უნდა განხორციელდეს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში და აღნიშნულის საფუძველზე გამოიცეს მიკროკრედიტების აღიარების მომწესრიგებელი საკითხების ამსახველი დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი ან აღნიშნული

¹⁸ მსგავსი მოწესრიგება არის გათვალისწინებული ავტორიზაციის სტანდარტებით, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების სტანდარტის ქვეშ (პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება).

¹⁹ აღნიშნული შეიძლება გამოიხატებოდეს მიკროკრედიტის შემუშავების, სტუდენტისათვის შეთავაზების, შეფასებისა და აღიარების წესებში, ასევე მიკროკრედიტის განხორციელების პროცესის შეფასების მექანიზმებში.



საკითხი ინტეგრირებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში.

ბ) ინსტიტუციის დონეზე - აღიარების მიზნებისათვის საკმარისი იქნება უშუალოდ ამღიარებელი დაწესებულების (უსდ/გარე განმახორციელებელი) კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში პროცესი განსაზღვრული იქნება უშუალოდ დაწესებულების მიერ და შემოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმით.²⁰ ამ მიზნით შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში.

ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს აღიარების თავისებურებებიც. კერძოდ, ინსტიტუციის დონეზე აღიარების მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს გარე განმახორციელებლის მიერ განხორციელებული მიკროკრედიტის აღიარებას უსდ-ს პროგრამის მიზნებისათვის,²¹ ასევე უსდ-ს პროგრამის ფარგლებში გავლილი მიკროკრედიტის აღიარების შესაძლებლობას იმავე უსდ-ს სხვა პროგრამის მიზნებისათვის.²² ამასთან, მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარებადი მიკროკრედიტების მაქსიმალური რაოდენობა (რეკომენდირებული რაოდენობა: მაქს. 30 კრედიტი). აღნიშნული შეზღუდვა შეამცირებს იმის ალბათობას რომ, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დიდი ნაწილი სწორედ მიკროკრედიტების აღიარების ხარჯზე განხორციელდება.

²⁰ მაგ. აკრედიტაცია ან მიკროკრედიტის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიკროკრედიტის განხორციელებისა ან/და აღიარების მექანიზმის (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის) შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში.

²¹ მაგ. ტრენინგ ცენტრის კურსი - მენეჯმენტი უსდ-ს მიერ აღიარებულ იქნება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზნებისათვის.

²² მაგ. უსდ-მ სამართლის პროგრამის ბაზაზე შეიმუშავა მიკროკრედიტის მიმნიჭებელი პროგრამა (მაგ. საბანკო სამართლის საკითხები ან პერსონალური მონაცემების დაცვა), რომელიც გაიარა ბიზნესის პროგრამის სტუდენტმა. თუ ეს სტუდენტი მომავალში მობილობით გადავა სხვა უსდ-ში სამართლის პროგრამაზე, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ცოდნის აღიარებაზე.





გამოყენებული წყაროები

- Cirlan, E. (2023). I'MINQA Approaches to Quality Assurance of Micro-credentials A report on policies and practices to assure the quality of micro-credentials in the European Higher Education Area. European Union or European Education and Culture Executive Agency (EACEA). Retrieved October 25, 2023, from https://www.enqa.eu/wp-content/uploads/IMINQA-MC-report_Approaches-to-Quality-Assurance-of-Micro-credentials.pdf
- Council of the European Union. (2022, May 25). Proposal for a Council Recommendation on a European approach to micro-credentials for lifelong learning and employability - Adoption. Retrieved October 19, 2023, from europa.eu: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-9237-2022-INIT/en/pdf>
- Dutch organisation for internationalisation in education (NUFFIC). (2022). The Rise and Recognition of Micro-credentials Stacking Modules and the Future of the Qualification. NUFFIC. Retrieved October 27, 2023
- Dutch organisation for internationalisation in education (NUFFIC). (2022). The Rise and Recognition of Micro-credentials Stacking Modules and the Future of the Qualification. Retrieved October 27, 2023, from <https://ecahe.eu/the-rise-and-recognition-of-micro-credentials/>
- Estonian Quality Agency for Education HAKA (former EKKA). (n.d.). QA of MICRO-CREDENTIALS – the Estonian touch. Retrieved November 2, 2023, from ENQA: <https://www.enqa.eu/wp-content/uploads/EKKA-2.pdf>
- European project MICROBOL. (2022, March 22). News & Events. Retrieved September 11, 2023, from MICROBOL: https://microbol.knowledgeinnovation.eu/wp-content/uploads/sites/20/2022/03/Micro-credentials_Framework_final-1.pdf
- European Training Foundation (ETF). (2022). GUIDE TO DESIGN, ISSUE AND RECOGNISE MICRO-CREDENTIALS. European Training Foundation. Retrieved November 23, 2013, from <https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2023-05/Micro-Credential%20Guidelines%20Final%20Delivery.pdf>
- Irish Universities Association (IUA). (n.d.). MicroCreds Project Overview. Retrieved October 25, 2023, from Irish Universities Association: <https://www.iua.ie/ourwork/learning-teaching/microcreds/microcreds-project-overview/>
- MCE project. (n.d.). Home. Retrieved October 22, 2023, from MCE project: <https://mce.eadtu.eu/index.php>

- MICROCREDX. (n.d.). About the Project. Retrieved October 22, 2023, from MICROCREDX: <https://microcredx.microcredentials.eu/about/>
- MicroHE Consortium. (n.d.). About MICROBOL. Retrieved October 10, 2023, from Micro-Credentials in a nutshell: <https://microcredentials.eu/about-2/microbol/>
- MicroHe. (n.d.). Home. Retrieved October 19, 2023, from MicroHe: <https://microhe.microcredentials.eu/>
- New Zealand Qualification Authority (NZQA). (2022, November 22). Guidelines for applying for approval of a micro-credential. Retrieved October 28, 2023, from NZQA: <https://www2.nzqa.govt.nz/assets/About-us/Our-rules-fees-and-policies/NZQA-Rules/Micro-credential-Approval-and-Accreditation-Rules-2022.pdf>
- New Zealand Qualification Authority (NZQA). (2023, February). Guidelines for micro-credentials – interim draft (February 2023). Retrieved November 3, 2023, from New Zealand Qualification Authority: <https://www2.nzqa.govt.nz/assets/Tertiary/Micro-credentials/Guidelines-for-Micro-credentials-interim-draft-Feb-2023-v2.pdf>
- Open University. (2023, July 11). Microcredentials. Retrieved from The Open University: <https://www.open.ac.uk/courses/microcredentials>
- Quality Assurance Agency (QAA). (2022, May). Characteristics Statement Micro-credentials. Retrieved August 9, 2023, from QAA: https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/quality-code/micro-credentials-characteristics-statement.pdf?sfvrsn=32bda081_8
- Reinman, J., & Mannik, K. (2023). DESIGNING FLEXIBLE LEARNING PATHWAYS THROUGH MICRO-CREDENTIAL PROGRAMMES: TALLINN UNIVERSITY'S APPROACH TO LIFELONG LEARNING. Tallinn University, Department of Education Sciences. Tallinn: Tallinn University. Retrieved November 11, 2023, from <https://www.uu.nl/sites/default/files/EUCEN%20presentation%20Reinman.pdf>
- Tallinn University. (n.d.). Microdegree programmes. Retrieved October 17, 2023, from Tallinn University: <https://www.tlu.ee/en/microdegree>
- UNESCO. (2022). Towards a common definition of micro-credentials. Paris: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization. Retrieved September 8, 2023, from <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000381668>
- University of Galway. (n.d.). Micro-credentials. Retrieved July 17, 2023, from University of Galway: <https://www.universityofgalway.ie/courses/cpd/micro-credentials>
- University of Lincoln. (2020, September 4). Retrieved October 2023, 27, from University of Lincoln: <https://cpb-eu-w2.wpmucdn.com/blogs.lincoln.ac.uk/dist/a/2784/files/2020/09/02a-QAM-Short-Courses-and-Microcredentials-Approved-AAC-04-09-20-c.a.-1.pdf>
- University of Lincoln. (2020). Quality Assurance Standards Approval-Short Courses and Microcredentials. Retrieved September 4, 2023, from University of Lincoln: <https://cpb-eu-w2.wpmucdn.com/blogs.lincoln.ac.uk/dist/a/2784/files/2020/09/02a-QAM-Short-Courses-and-Microcredentials-Approved-AAC-04-09-20-c.a.-1.pdf>



University of Tartu. (n.d.). What is a micro-credential programme? Retrieved November 2, 2023, from University of Tartu: <https://ut.ee/en/content/micro-credential-programmes>

Ward, R. P. (2021). Towards a 21st century personalised learning skills taxonomy. *EEE Global Engineering Education Conference (EDUCON): Women in Engineering* (pp. 344-354). Vienna: In Press. Retrieved September 8, 2023, from <http://nrl.northumbria.ac.uk/id/eprint/45255>

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2021). კვლევები. მოპოვებული 2023 წლის 9 სექტემბერი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: <https://shorturl.at/ksHY8>-დან

